



Federal Foreign Office



ქალის თვალით დანახული რეალობა





კრებული მომზადებულია პროექტის „ქალთა, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის განახლება(WPS) ეუთო-ს რეგიონში“ ფარგლებში, „სამუშაო ჯგუფის“ წევრის, ი.გ.პ. ქალთა ასოციაცია "თანხმობა"-ს მიერ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

აღნიშნულ პუბლიკაციაში თავმოყრილია სამოქალაქო აქტივისტებისა და ექსპერტების სტატიები. სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს, იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-ს, „DRA“-სა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას.

თბილისი

2019 წ.

სარჩევი

შესავლის მაგიერ: რატომ ქალები?.....	2
სამადლობელი.....	4
ტერმინოლოგია.....	5
მშვიდობის მშენებლობა უსაფრთხოების გამოწვევების	
პირისპირ ლალი დევიძე.....	6
ფოკუს ჯგუფის მიგნებები ხატია ქარდავა.....	14
ჩემი ცხოვრების ისტორია ირუზა კაკავა.....	23
მიტოვებული სოფელი ციციხოველი.....	25
ახალი შესაძლებლობები სოფელი კომპასთვის ლია მიქელაძე.....	27
ქართულ-ოსური კონფლიქტი არინა თავაქარაშვილი.....	28
სოფელ ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში არსებული	
მდგომარეობა ნუკრი ყველაშვილი.....	31
ფრონის ხეობის კონფლიქტის პირა სოფლები, ბადრი ციქუბაძე.....	33
დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობები	
ქალაქ წყალტუბოში ლეილა აშორდია.....	35
რატომ გვჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის	
ეროვნული და ადგილობრივი სამოქმედო გეგმები? ნათია ომაძე.....	40
გამყოფი ხაზის პირისპირ ელიკო ბენდელიანი.....	43
დასკვნა.....	47

შესავლის მაგიერ: რატომ ქალები?

პროექტის შესახებ

მასალების ეს კრებული მომზადებულია პროექტის „ქალთა, მშვიდობის და უსაფრთხოების დღის წესრიგის განახლება(WPS) ეუთო-ს რეგიონში“ ფარგლებში, „სამუშაო ჯგუფის“ წევრის, ი.გ.პ. ქალთა ასოციაცია "თანხმობა"-ს მიერ.

2016 წელს ჰამბურგში დაარსდა „ეუთო-ს რეგიონში ქალთა და გენდერული რეალობის სამუშაო ჯგუფი“, როგორც რეაგირება სამოქალაქო საზოგადოებისათვის სივრცის შეზღუდვისა და იმ ფაქტის გამო, რომ ეს პროცესი გენდერულად ნეიტრალური არ არის. ამ ჯგუფის წევრები, მშვიდობის და ადამიანის უფლებათა დამცველი მაღალკვალიფიციური აქტივისტები გერმანიიდან, იტალიიდან, შვედეთიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და ყირგიზეთიდან აცნობიერებენ ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას დიალოგის ფორმატებში, სამშვიდობო პროცესებში, მოლაპარაკებებში, დიპლომატიურ და, მათ შორის, კონფლიქტებთან დაკავშირებულ კვლევებსა და დებატებში. იმის აღიარებით, რომ ქალები ყველაზე დაუცველნი არიან სამოქალაქო საზოგადოების სივრცის კონტექსტში, სამუშაო ჯგუფი საკუთარ მისიად თვლის ქალების გააქტიურების მხარდაჭერას. „სამუშაო ჯგუფის“ საქმიანობა მოიცავს სადამკვირვებლო მისიების შესრულებას ეუთო-ს რეგიონში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უკრაინა და საქართველო, ასევე, ღონისძიებებს ყირგიზეთსა და სომხეთში. იგი ექსპერტებისათვის და ფართო აუდიტორიისათვის ატარებს ადვოკატირებას, საჯარო დებატებსა და სემინარებს.

პროექტი განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია “DRA”-სთან (გერმანია) თანამშრომლობით, "სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმის" "ეუთოს რეგიონში ქალთა და გენდერული საკითხების სამუშაო ჯგუფის" ფარგლებში, კერძოდ, პროექტ "უსაფრთხოების, ადამიანის უფლებების, კონფლიქტების მოგვარებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის გაძლიერება ეუთოში" ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას.

DRA არის არაკომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია დაფუძნებული ბერლინში. 1992 წლიდან ხელს უწყობს დემოკრატიულ ფასეულობებს რუსეთსა და სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დამოუკიდებელ მედიასთან თანამშრომლობით რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინადან და სხვა ევროპული სახელმწიფოებიდან. DRA ახორციელებს ახალგაზრდულ და სხვა გაცვლით პროგრამებს პოლიტიკური განათლების, დემოკრატიისა და აქტიური მოქალაქეობის სფეროში. იგი ასევე მუშაობს დასავლეთ პარტნიორულ ურთიერთობებში კავშირების დამყარებაზე. გარდა ამისა, DRA მოქმედებს როგორც ევროპის მოხალისეობრივი სამსახურის აგენტი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მოხალისეებისთვის.

სამოქალაქო სოლიდარობის პლატფორმა (CSP) წარმოადგენს ეუთო-ს რეგიონის სამოქალაქო ორგანიზაციების და ჯგუფების, ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაციას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ეუთოს რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობისათვის ერთობლივი საქმიანობით, მზად არიან ამ მიმართულებით კოორდინირება გაუწიონ, ხელი შეუწყონ საერთო პოზიციებს და უზრუნველყონ ერთმანეთთან ურთიერთდახმარება.

ი.გ.პ. ქალთა ასოციაცია "თანხმობა" არის არასამთავრობო და არაპარტიული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს 1995 წლიდან კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირების, ქალების და გოგონების უფლებების საკითხებზე. "თანხმობა" თანამშრომლობს საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან. "თანხმობა" თემის დონეზე, მუშაობს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ დევნილ ქალებთან, გოგონებთან და სამოქალაქო აქტივისტებთან სოციალურად დაუცველი პირების უფლებებსა და მათი გაძლიერებაზე, ადამიანის უსაფრთხოების ზრდასა და სხვადასხვა მომსახურების უზრუნველყოფაზე. "თანხმობა" მხარს უჭერს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების ზრდას მათი მანდატების ფარგლებში. იგი ატარებს ადვოკატირების კამპანიებს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირების უფლებების დასაცავად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე.

მოცემულ ბროშურაში შეჯამებულია სხვადასხვა ადამიანების მიერ შეტანილი წვლილი: სოფლის აქტივისტების მონიტორინგის ანგარიშები, ფოკუს ჯგუფების ანგარიშები და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ დევნილ მოსახლეობასთან ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გასაუბრებების ჩანაწერები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტების რამდენიმე სტატია, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებებსა და ადამიანის უსაფრთხოებაზე.

კრებულს დავარქვით "ქალების თვალთ დანახული", რადგან ჩვენი მიზანი იყო - გვეჩვენებინა, თუ როგორ და რატომ არის შესაძლებელი ადამიანის უსაფრთხოების და კონფლიქტებით დაზარალებულ ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობის ალტერნატიული ხედვა გენდერულ ჭრილში. კონფლიქტის გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო აქტივისტი ქალების მიერ მოწოდებული მცირე ინფორმაციებიდან ჩანს, რომ კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში მოუგვარებელი კონფლიქტების, არსებული "ბორდერიზაციის" და ეკონომიკური სტაგნაციის გამო გაზრდილია ადამიანის უსაფრთხოების რისკები.

"თანხმობა" ხაზს უსვამს საზოგადოების ქვედა ფენების წარმომადგენელი სამოქალაქო აქტივისტი ქალებისა და ახალგაზრდების როლს მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების ხელშეწყობაში და მხარს უჭერს მათ უფრო მეტ ჩართულობას მშვიდობის შენების, მედიაციის, მოლაპარაკებების და კონფლიქტების პრევენციის პროცესებში.

სამადლობელი: იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია მადლობას უხდის სამოქალაქო სოლიდარობის პლათფორმის სამუშაო ჯგუფს „გენდერი და ქალთა რეალობა“-ს შესაძლებლობისთვის ჩაგვეტარებინა მონიტორინგი და შეგვეგროვებინა ინფორმაცია; DRA-ს პროექტის კოორდინატორს ქ-ნ ანა ოსიპოვას; DRA-ს თანამშრომლებს ბ-ნ Goethe Benutzer-ს და ქ-ნ Fiona Feller-ს, რომელთაც რედაქტირება გაუკეთეს ინგლისურ ტექსტს; ქ-ნ მარიამ ბერიას, რომელმაც ქართულ ტექსტს გაუკეთა რედაქტირება; იგპ ქალთა ასოციაციის თანამშრომლებსა და მოხალისეებს, რომლებმაც მოაგროვეს მასალები და მოამზადეს პუბლიკაცია.

ტერმინოლოგია:

სხვადასხვა სტატიაში გვხვდება განსხვავებული ტერმინები, მოგეხსენებათ, რომ კონფლიქტის რეალობა გავლენას ახდენს ტერმინოლოგიაზეც. მაგ: ცალკეული ავტორების მიერ ცხინვალის რეგიონი მოხსენებულია, როგორც სამხრეთ ოსეთი, ზოგან კი ორივე სახელით: სამხრეთ ოსეთი / ცხინვალის რეგიონი. ჩვენ არ შეგვიცვლია ავტორების მიერ ტოპონიმიკური სახელწოდებები.

ასევე სხვადასხვა ტერმინითაა აღნიშნული ოკუპირებულ რეგიონებსა და საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს შორის გამყოფი ხაზი, ზოგიერთ სტატიაში მას "კონფლიქტის გამყოფ ხაზს" ან „ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს“ ან „ყოფილ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს“ ან კიდევ დე ფაქტო საზღვარს უწოდებენ. ყველა შემთხვევაში ავტორები გულისხმობენ გაყოფილი საზოგადოებების შორის არსებულ გამყოფ ხაზს.

იძულებით გადაადგილებული პირებში ვგულისხმობთ მოსახლეობას, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლ-კარი კონფლიქტის, ადამიანის უფლებების მასიური დარღვევებისა და სიცოცხლისთვის საფრთხის გამო, რომელიც დროებით ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელსაც აკონტროლებს საქართველოს ოფიციალური მთავრობა.

„ბორდერიზაცია“ მოიცავს სამ ძირითად ელემენტს: (1) ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნას, რათა უზრუნველყოს ადამიანების მიმოსვლა, ტრანსპორტისა და საქონლის გადაყვანა/გადატანა სპეციალური „კონტროლირებადი გამშვები პუნქტების“ გამოყენებით, (2) რუსი მესაზღვრეების ან სეპარატისტული რეგიონების უსაფრთხოების აქტორების მიერ პატრულირებას, რომლებიც სიტუაციის მონიტორინგს ახდენენ და აკავებენ ადამიანებს, თუ ისინი დადგენილ „წესებს“ არღვევენ; (3) არსებული რეჟიმი მგზავრებისგან მოითხოვს და გამოიყენონ მხოლოდ "ოფიციალური" გადაკვეთის წერტილები და კონკრეტულ დოკუმენტებს. (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, 2018)

ჩვენ ასევე ვიყენებთ ტერმინს **"კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას"**, რომელიც გულისხმობს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას, ადამიანებს რომლებიც აგრძელებენ თავიანთ სახლებში ცხოვრებას, მაგრამ რომლებზეც მოქმედებს მოუგვარებელი კონფლიქტისა და ოკუპაციის უარყოფითი შედეგები და მათი უსაფრთხოება არ არის დაცული.

ლალი დევიძე,ახალგაზრდა ექსპერტი

მშვიდობის მშენებლობა უსაფრთხოების გამოწვევების პირისპირ

მსოფლიოში მიმდინარე შეიარაღებულმა კონფლიქტებმა უამრავი ადამიანური მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის ფაქტების წინაშე დაგვაცენა.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის 2018 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ლტოლვილთა რაოდენობა 25.4 მილიონია, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 40 მილიონს აღწევს,¹ მათ შორის არიან საქართველოში მცხოვრები დევნილებიც. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, დღეს საქართველოში რეგისტრირებულია² 273 411 იძულებით გადაადგილებული პირი. სამწუხაროდ, არ არსებობს სტატისტიკა რამდენი ადამიანი ცხოვრობს, როგორც ლტოლვილი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 864 აფხაზი და 14 385 ოსი ცხოვრობს.³ რაც შეეხება გამყოფ ხაზთან მცხოვრებ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას, ამავე წლის საყოველთაო აღწერის შედეგებისა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის (შეიქმნა 2013 წელს) მიერ იდენტიფიცირებული სოფლების შესწავლით გაირკვა, რომ საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული 45 994 ადამიანია (50.30% ქალი და 49.70% კაცი)⁴. საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე დე-ფაქტო ხელისუფლებებმა 2016 წელს გამოაქვეყნეს მოსახლეობის აღწერის შედეგები. მათი მონაცემები შეიძლება შეიცავდეს უზუსტობებს, რადგან, ბუნებრივია, 90-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ ერთიანი სტატისტიკური მონაცემების სისტემა არ არსებობდა და ვერც იარსებებდა. 1989 წლის აღწერის შედეგებთან⁵ შედარებით, აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო რესპუბლიკებში დემოგრაფიული სურათიც რადიკალურად შეცვლილია და ეთნიკური ქართველების რიცხოვნობა შემცირებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ხომ დამატებით დევნილად აქცია ათასობით ოჯახი. ეთნიკური შემადგენლობის დასანახად, საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები: აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში 124 785 აფხაზი და 43562 ქართველი ცხოვრობს (სომეხი- 41845, რუსი - 22 341, ოსი - 595 და სხვ. სულ 243936 ადამიანი)⁶, ხოლო დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში კი - 48146 ოსი და 3966 ქართველი (610-რუსი, 378 -სომეხი, 12 აფხაზი და სხვ. სულ 53 532 ადამიანი).⁷ ამ მონაცემების მიხედვით, აფხაზების და ოსების შემდეგ, ქართველები ქმნიან მეორე მსხვილ ეთნიკურ

1. UNHCR, 2018 - <https://www.unhcr.org/figures-at-a-glance.html>

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა საკითხები - <http://mra.gov.ge/geo/static/55>

3. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური - <http://www.geostat.ge/>


4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია.წელიN11-1221, 2017.

5. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1989 - www.wikipedia.org

6. აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახური - <http://ugsra.org>

7. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სტატისტიკის სამსახური - <http://ugostat.ru>

ჯგუფს.



აქ არც ციფრები და არც ციფრებით მანიპულირების საკითხია მნიშვნელოვანი, არც ამ ციფრებში და დემოგრაფიული ბალანსის აღდგენაშია გამოსავალი.

ამ ციფრების უკან ადამიანები დგანან!

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური

ურთიერთობები ისევ ნდობის აღდგენის ძიებას დაუბრუნდა, თუმცა ყველაზე დიდ გამოწვევას და საფრთხეს ქმნის დე-ფაქტო რესპუბლიკებში რუსეთის კონტროლი და გავლენის ხარისხის გაზრდა, რუსეთის ფედერაციასთან მათი ინსტიტუციური შერწყმა და მაღალი ფინანსური დამოკიდებულება, რასაც აფხაზებისგან განსხვავებით, სამხრეთ-ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები მიესალმებიან რუსეთთან გაერთიანების კონტექსტში და ღიად საუბრობენ საკუთარ პოლიტიკურ არჩევანზე. ფაქტია, ჯერჯერობით, რუსეთი მათ არჩევანს შესაბამისად არ პასუხობს. ერთი რამ ცხადია, დე-ფაქტო რესპუბლიკების აღიარებამ და ოკუპაციის დამდგარმა ფაქტმა, პროცესები რადიკალურად შეცვალა.

ადამიანური უსაფრთხოების კუთხით, სერიოზულ გამოწვევას წამოადგენს, როგორც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განლაგებული სამხედრო კონტიგენტი, ასევე ე. წ. უკანონო „ბორდერიზაციის“ პროცესი, რომელსაც აწარმოებს რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური. პირველი ფაქტი ჯერ კიდევ 2009 წლის აგვისტოს თვეში დაფიქსირდა. დღესდღეობით კი - ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საოკუპაციო ხაზის საერთო სიგრძე 350 კმ-ზე მეტია და განლაგებულია 52 კმ-ზე მეტი სიგრძის მავთულხლართები და ღობეები. აფხაზეთის მიმართულებით კი 145კმ-იანი საოკუპაციო ხაზია გავლებული. უკანონოდ მოწყობილი მავთულხლართების ღობეების საერთო სიგრძე კი 48 კმ-ზე მეტია.⁸ უმეტეს შემთხვევაში, უკანონოდ გავლებული მავთულხლართები მიწის ნაკვეთებს ჰყოფს და მათი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მშვიდობიან მოქალაქეებს აღარ შეუძლიათ. კვლავ გრძელდება ადამიანების გატაცებების თუ უკანონო დაკავების პრაქტიკა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ფაქტების საფუძველზე ირკვევა, რომ 2017-2018 წლებში ე. წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო, ცხინვალის მიმართულებით დაკავებულია 222, ხოლო აფხაზეთის მიმართულებით კი - 80 ადამიანი.⁹ საყურადღებოა, თავად დე-ფაქტო რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის 2017 და 2018 წლის სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც, ამ ორი წლის განმავლობაში ეგრეთწოდებული საზღვრისა და სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის ბრალდებით, დააკავეს 1 121 ადამიანი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მშვიდობიან მოქალაქეებს 2000-დან 20 000-მდე რუბლის გადახდას აკისრებენ.¹⁰ მათ შორის, უფრო მეტი დე-ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეა, რომელიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას ცდილობს. ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და პირიქით მოხვედრა ე. წ. გამშვები პუნქტების საშუალებით არის შესაძლებელი. ცხინვალის მიმართულებით მხოლოდ ერთი ე. წ. გამშვები პუნქტი მოქმედებს, როდესაც ომისის საგუშაგოს გავლით, ახალგორისკენ გადაადგილებით

8. აქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, "თბილისი თაიმსი, 2019. <http://www.ttimes.ge/archives/98736>
9. ანგარიშები: <http://smr.gov.ge>; <https://ssg.gov.ge>
10. ინფორმაცია ოსური სტატისტიკის შესახებ. რადიო თავისუფლება, 2019 - www.radiotavisupleba.ge

და ისიც მხოლოდ ცხინვალის უშიშროების კომიტეტის (კგბ-ს) მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილება 2018 წლის დეკემბერში იქნა მიღებული. რაც შეეხება აფხაზეთის მიმართულებას - 2019 წლის 7 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ადამიანებს კიდევ ერთ ე. წ. გამშვებ პუნქტზე საბერიო-წყოუმის მონაკვეთზე იმ პირობებით ექნებათ გადაადგილების საშუალება, როგორც ენგურის გადაადგილდებიან ხიდზე (ე. წ. საზღვარგარეთის პასპორტის, აფხაზეთში გაცემული ე. წ. ბინადრობის მოწმობის, 2016 წელს გაცემულ „მწვანე პასპორტის“ ან ფორმა #9-ის მეშვეობით). 2016-2017 წლებში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით¹¹ გაუქმდა ხუთი გადასასვლელი. როგორც მოგეხსენებათ ადამიანები ე. წ. გამშვებ პუნქტებზე გადაადგილდებიან სხვადასხვა მიზნით. მაგ: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შეთავაზებულ უფასო ჯანდაცვის „რეფერალურ“ პროგრამაში ჩასართავად, განათლების და სხვადასხვა სერვისის მისაღებად, სავაჭროდ, ახლობლების და ნათესავების სანახავად და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ გამყოფ ხაზთან არსებულ ვითარებას მონიტორინგს უწევს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომელიც მოქმედებს განსაზღვრული მანდატის ფარგლებში.

თავისუფალი გადაადგილების უფლების, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, ჯანდაცვის თუ სხვა ფუნდამენტალური ადამიანთა უფლებების შეზღუდვის გამო განსაკუთრებით, რთულ მდგომარეობაში არიან გალისა და ახალგორის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, რომლებიც დე-ფაქტო ხელისუფლებების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებითაც კი უმრავლესობას ქმნიან ამ რეგიონებში (91% - გალში, ხოლო 52% - ახალგორში). მათ საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის ბრძოლა უწევთ დე-ფაქტო ხელისუფლებების გადაწყვეტილებების და საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ, რაც უმეტესწილად გარე დახმარებაზე, ქართული მხარის და საერთაშორისო მექანიზმების ჩართულობაზე გადის. თუმცა, ამ თვალსაზრისით, კარგი პრეცედენტი და ქმედითი მექანიზმი აღმოჩნდა 2019 წლის 24 იანვარს, აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სახალხო დამცველის, ასიდა შაკრილის, სწორი და საჭირო განცხადება გალის რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც ენგურის გამშვებ პუნქტზე ადამიანების გადაადგილების შეზღუდვას და მათ პროტესტს უკავშირდებოდა. ის შეეხო ადამიანთა ისეთი ფუნდამენტური უფლებების დაცვის საკითხს, როგორც არის ჯანმრთელობის და განათლების უფლება.¹² მან დაიცვა გალელი სტუდენტების, სამკურნალოდ და სხვა სერვისების მისაღებად საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მუდმივად მოძრავი ადამიანის უფლებები. ამ ინსტიტუტის გამლიერება თავად აფხაზური საზოგადოების ინტერესში უნდა შედიოდეს, ისევე როგორც ოსური საზოგადოების ინტერესი უნდა იყოს მათი სახალხო დამცველის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირება. სამწუხაროდ, 2019 წლის 11 იანვრიდან, მას

11. აფხაზეთისკენ კიდევ ერთი გადასასვლელი გაიხსნა. „აკცენტი“, 2019 - <http://www.accentnews.ge>
12. სოხუმელი ომბუცმენი გალელის ინტერესების დასაცავად - <http://netgazeti.ge>

შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის მიმართულებით ისევ ჩაკეტა ე. წ. გამშვები პუნქტი და გადაადგილების პრობლემა შეუქმნა სკოლის მოსწავლეებს, სტუდენტებს და მასწავლებლებს (21 ადამიანს). აღნიშნულ ფაქტს ჯერ არ გამოხმაურებია სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სახალხო დამცველი.

როცა ადამიანები ღიად საუბრობენ და წერენ რეგიონში შექმნილ რთულ მდგომარეობაზე და პრობლემებზე, სისხლის სამართლის საქმეები არ უნდა იყოს აღძრული მათ წინააღმდეგ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყურადღების მიღმა რჩება ასეთ ფაქტებთან და ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით ოსურ საზოგადოებაში ცალკეული ადამიანების ღიად გამოხატული გულის წუხილი. კარგად გასააზრებელია ასევე ის პროცესები, რომლებიც ქართულ იდენტობასთან ბრძოლას უკავშირდება გალისა და ახალგორის რეგიონებში, ამის მაგალითია ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების შეზღუდვა, გალის რაიონის ქართული სოფლებისთვის სახელწოდებების და ტოპონიმების შეცვლა, იძულებითი მექანიზმების ამოქმედება გვარების შესაცვლელად, ახალგორის რაიონისთვის ლენინგორის დარქმევას და სხვ. დე-ფაქტო ხელისუფლებების მხრიდან დანახულ შიშთან და საფრთხეებთან ამ ფორმით გამკლავება უფრო სისუსტეზე მიუთითებს და მთლიანად, აფხაზური და ოსური საზოგადოებების წინააღმდეგ არის მიმართული. ამავე დროს იმ სივრცეში, სადაც ეს საზოგადოებები ცხოვრობენ, ვერ ხორციელდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები. მზარდი კრიმინოგენული ვითარება, ნარკოტიკების მოხმარება თუ ადამიანური უსაფრთხოების კრიტერიუმებთან დაკავშირებული სხვა მწვავე პრობლემები განვითარების შესაძლებლობას უკარგავს იზოლაციაში მყოფ საზოგადოებებს, რაც ჩვენ შემთხვევაში არცერთი მხარისთვის არ არის სასარგებლო.

უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება, გამოცხადებული სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში, გეგმავს ახალი სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებას, რომელიც ეხება გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებას, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას და სხვადასხვა სერვისზე წვდომის გამარტივებას¹³ - ანუ ნდობიდან თანამშროლობაზე გადასვლას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, ძალისხმევა მიმართულია სახალხო დიპლომატიის გაძლიერებისკენ, მეორე მხრივ კი - აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით კი მნიშვნელოვანია თანამშროლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი ჩართულობის გაზრდა დასახული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, სწორედ მათი და არასამთავრობო ორგანიზაციების როლია კარგად დასანახი და გასააზრებელი ჩვენი კონფლიქტების ტრანსფორმაციის კონტექსტში როგორც გრძელვადიანი და არა ერთჯერადი სამშვიდობო ინიციატივების განსახორციელებლად, ასევე დეზინფორმაციებით თუ რუსული პროპაგანდით გამოწვეული დამაბულობის შესასუსტებლად და უარყოფითი დამოკიდებულებებისა თუ აღქმების შესაცვლელად.

13. სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ - <http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=97>

მშვიდობის შესახებ გარანტიები და ადამიანის უსაფრთხოება

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შექმნილ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, ხოლო 2009 წელს შექმნილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრების ფორმატში მუდმივად განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რასაც ზემოთ შევხებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რუსეთი დღემდე არ აწერს ხელს „ცეცხლის განუახლებლობის“ შესახებ შეთანხმებას საქართველოსთან.

ქართული მხარე - 2010 წელს შეიქმნა და დღემდე მოქმედებს პირველი ოფიციალური დოკუმენტი კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“.¹⁴ საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 7 მარტს¹⁵ და შემდგომ 2016 წლის 29 დეკემბერს¹⁶ მიიღო რეზოლუცია „საქართველოს საგარეო პოლიტიკის“ შესახებ, სადაც ასევე, ხაზგასმულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება, რაც კიდევ ერთხელ დადასტურა პარლამენტმა 2018 წლის 21 მარტს მიღებული რეზოლუციით.¹⁷ აქვე უნდა შევხებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასაც,¹⁸ სადაც საუბარია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისკენ მიმართული ძალისხმევის მნიშვნელობასა და მხარდაჭერაზე, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით. 2018 წლის 4 აპრილს კი საქართველოს მთავრობამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, დაამტკიცა¹⁹ ახალი სამშვიდობო ინიციატივები „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როგორც აღმასრულებელ ისე საკანონმდებლო დონეზე გამოყარებულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის პოლიტიკური ხედვა და ცალმხრივად აღებულია ვალდებულება ძალის არ გამოყენების შესახებ. აფაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებებმა კი საქართველოსგან მომდინარე საფრთხესთან, „რბილ ძალასთან“ გამკლავება პოლიტიკურ დონეზე გადასაჭრელ ამოცანად დაისახეს. სამშვიდობო ინიციატივების ამ ჭრილში განხილვა არასწორია.

ფაქტია, კონფლიქტის შედეგად გაყოფილ ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს დღეს უკვე განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ. რუსული ოკუპაციის პირობებში, საქართველოს ხელსუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, ჩართოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა საზოგადოებრივი განვითარების, დემოკრატიის მშენებლობის თუ ევროკავშირთან თანამშრომლობის პროგრესის მისაღწევად განსაზღვრულ დღის წესრიგში. ამავე დროს, მას გააჩნია პოზიტიური ვალდებულება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თანაბრად გაუნაწილოს მათ ის სიკეთეები და სარგებელი, რასაც ევროკავშირთან ასოცირების

14. სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ http://smr.gov.ge/Uploads/_7db17f7a.pdf

15. საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საგარეო პოლიტიკის მიმართულებების შესახებ. 2013 წლის 7 მარტი. <http://civil.ge>

16. საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია საგარეო პოლიტიკის კურსის შესახებ, 2016 წლის 29 დეკემბერი. <http://parliament.ge>

17. რეზოლუცია „რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა „ოთხოზორია-ტატუნაშვილი“ სის შესახებ, 2018 წლის 21 მარტი. www.parliament.ge

18. ასოცირების შესახებ შეთანხმება ეთნოსების მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. საქართველოს პარლამენტი, 2014. <http://www.parliament.ge>

19. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სამშვიდობო ინიციატივა, 2018 წ. - www.smr.gov.ge

ხელშეკრულება სთავაზობს საქართველოს მოქალაქეებს და მათთან ერთად განამტკიცოს მშვიდობა. სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეში, გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას უწევს, რუსული საოკუპაციო ძალების მიერ შექმნილი უსახო მავთულხლართებით გამოწვეულ ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავება, ხოლო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკებში სამხედრო ბაზებით წარმოდგენილი რუსული საოკუპაციო ძალა, როგორც კონტროლის განმანხორციელებელი, საფრთხეს უქმნის აფხაზური და ოსური საზოგადოებების განვითარებას და მთავარ ღირებულებას - ადამიანს, მის უფლებებს და თავისუფლებას.

ქართული მხარე ვერ უკარნახებს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს განვითარება თავისუფლებაში როგორ მიიღწევა და რა პირობები უნდა შექმნან ამისთვის, მაგრამ საოკუპაციო ხაზს იქეთ მცხოვრები ადამიანების ნაწილი მაინც ხომ ხედავს რადიკალურად განსხვავებას 21-ე საუკუნის ევროპულ ოჯახში თვითდამკვიდრებისთვის მოძრავ საქართველოსა და საბჭოთა მმართველობის დროინდელ საქართველოს შორის?! აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ადამიანის უსაფრთხოების კატეგორიებზე დიალოგის სტიმულირებაც საჭიროა და გარანტიების შექმნაც. სწორედ ადამიანის უსაფრთხოების ყველა სტანდარტების მისაღწევად, მიისწრაფვის საქართველო ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის, რადგან იქ დგას ყველა ცივილური საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ რუსული პროპაგანდა ცდილობს, გაამყარებს ანტიდასავლურ განწყობა, ჩვენი საზოგადოება ისეთი მოწყვლადი აღარ გახდება, რომ ოდესმე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ღიად დეკლარირებული ევროპული არჩევანი. თაობათა ცვლა კი ამას დაამტკიცებს.

ცალმხრივი სამშვიდობო გზავნილების ბედი

მშვიდობა, კონფლიქტების შედეგად გაყოფილ საზოგადოებების მხრიდან „ცალ კარში თამაშის“ პრინციპით არაეფექტურია და მყიფე. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში ქართველებისაგან მტრის ხატის გამლიერება კონტრ-ქმედებაა, კიდევ უფრო მეტი ძალადობის გამომწვევი და არა სამშვიდობო. აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ვითარდებოდეს ისეთი დისკურსი, რომელიც ეხება მშვიდობის მშენებლობისა და შენარჩუნების ნარატივს და ისეთ შიდა დისციპლინურ კონცეფციას, როგორც არის ადამიანთა უსაფრთხოება თავისი მახასიათებლებით: ადამიანზე, პრევენციაზე და კონტექსტის სპეციფიკურობაზე ორიენტირებული; მულტი-სექტორული და მრავლისმომცველი, რის პოტენციალიც აფხაზურ საზოგადოებაში კიდევ უფრო მეტად ჩანს, ვიდრე ოსურ საზოგადოებაში. აზრის გამოხატვის შიშის დაძლევა, პიროვნული თუ სტრუქტურული ძალადობიდან თავის დაღწევა და მშვიდობის მშენებლობა ქმედითი მექანიზმების შექმნით უნდა გაამყარდეს. ცხადია, რუსული გავლენების შესამცირებლად, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს წინააღმდეგობები შეხვდებათ. ამ თვალსაზრისით,

აფხაზურ საზოგადოებაში რუსული გავლენების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯები კიდევ უფრო კარგად ჩანს. ისინი „დამოუკიდებლობის“ ხარისხის შესანარჩუნებლად, მეტწილად, ლეგალურ სამართლებრივ ჩარჩოებსაც ინარჩუნებენ და ნაციონალური ნარატივიც გააზრებული აქვთ, გააზრებული აქვთ ასევე ადგილზე არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის და მუშაობის მნიშვნელობა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშროლობის პერსპექტივები, თუმცა ჯერ ვერ მოხდა ჰუმანიტარული მიზნებით იმ მისიის დაშვება, რომელიც შეძლებდა ადამიანის უფლებების კუთხით იქ არსებული ვითარების შესწავლას, რაც თავად ამ საზოგადოებისთვის იქნებოდა სასარგებლო შემდგომი საქმიანობების განსასაზღვრად პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ დონეზე, ასევე სახალხო დამცველის ინსტიტუტის გასაძლიერებლად. ოსურ საზოგადოებაში ამ კუთხით არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია. მაგ: 2015 წელს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკაში ორი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის გამო, ორგანიზაციების დახურვა მოუწია. ასეთი გამოცდილების მქონე ადგილები საექსპორტო გამოცდილებას, სამწუხაროდ, ოსური საზოგადოება ვერ იყენებს, ამ „სარგებელს“ იქ დე-ფაქტო ხელისუფლება ებრძვის, საერთაშორისო ორგანიზაციებს კი აგენტობაში ადანაშაულებს. ამ „სარგებელს“ კი საკუთარ მოქალაქეებს ართმევს.

რუსული პოლიტიკის თუ რუსული ნარატივის ასე „ერთგულად“ მიღება მათ თვითმყოფადობას უფრო მძაფრად არყევს, და მაინც, წარსულის და აწმყოს გათვალისწინებით, ზემოთმოყვანილ სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით და არსებულ გარემოებებს თვალს გავუსწორებთ ქართულ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის რესურსი და პოტენციალი გააჩნიათ. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ ასაზრდოებს ერთად ცხოვრების გამოცდილება, კულტურა, ტრადიციები, კონტაქტები, შერეული ოჯახები და თუნდაც საერთო ტკივილი, ამავე დროს, ჩვენი საზოგადოებების განვითარება და სამომავლოდ კონტურების მოხაზვა კეთილდღეობის მისაღწევად ჩვენს ხელშია.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიმოქმედოთ აწმყოში უკეთესი მომავლის შესაქმნელად და დავძლიოთ წარსულის ზეგავლენა ჩვენს ცნობიერებაზე, შევქმნათ კიდევ უფრო მეტი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ფორმატები და სამშვიდობო ინიციატივებში ჩვენი, თითოეული ადამიანის, სარგებელი დავინახოთ. შერიგების კონცეფციიდან გამომდინარე ვიმოქმედოთ. აქ არ ვსაუბრობ კონფლიქტების პოლიტიკურ მოგვარებაზე, ხაზს ვუსვამ მშვიდობის მშენებლობისა, და აფხაზური და ოსური საზოგადოებების განვითარების აუცილებლობას.

მოკლედ, დრო ჩვენ საწინააღმდეგოდ მუშაობს. ქართულ, აფხაზურ და ოსურ

საზოგადოებებში, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ დონეზე ნდობის მშენებლობის თუ შერიგების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად, გრძელვადიან პერსპექტივაში, აუცილებელი და საჭირო ხდება სხვადასხვა ალტერნატივაზე მუშაობა, თორემ გავა დრო და კონფლიქტების მოგვარება კიდევ უფრო ძვირი დაგვიჯდება.

ფოკუს ჯგუფის მიგნებები

მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით, 6 ფოკუს ჯგუფი ჩატარდა, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთში (სოფ. გრემისხევი), შიდა ქართლში (სოფ. ზემო ნიქოზი და კარალეთის დევნილთა დასახლება) და სამეგრელოში (ზუგდიდი, სოფლები: განმუხური და ინგირი). ფოკუს ჯგუფების შემადგენლობაში იყვნენ როგორც დევნილები, ასევე ადგილობრივები, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, სხვადასხვა გამოცდილებისა და ასაკის ადამიანები. ფოკუს ჯგუფებში 10-10 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ფასილიტატორები გახლდათ: მარინა დავითაია („თანხმობა“-ს წარმომადგენელი სამეგრელოში), მარინა გრიგოლია („თანხმობა“-ს მთავარი პროექტის კოორდინატორი ზუგდიდში), თამარ ქანთარია („თანხმობა“-ს მოხალისე სოფ. განმუხურში), ნაზი ბერუაშვილი („თანხმობა“-ს წარმომადგენელი კარალეთის დევნილთა დასახლებაში), ნინო მინდიაშვილი („თანხმობა“-ს წარმომადგენელი ნიქოზის თემში) და მარინა ფოჩხუა (ტრენინგების მიმართულების კოორდინატორი, „თანხმობა“).

პროექტის კოორდინატორის - ხატია ქარდავას ანალიზი.

ფოკუს ჯგუფებში დასმული კითხვები:

1. რამდენად განსხვავებულად იმოქმედა ომმა ქალებზე და მამაკაცებზე?
2. რა კვალი დატოვა ომმა თქვენზე და სოფელზე?
3. ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რა სახის გამოწვევები გაქვთ დღეს? (მაგ: სასაფლაოზე მისვლა და სხვ.)
4. თუ შეიცვალა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ომის შემდეგ და (ჯანმრთელობის) რა პრობლემებმა იჩინა თავი?
5. როგორ ფიქრობთ, ფსიქოლოგიური ტრამვა გაქვთ?
6. რა სახის სერვისებს ან მხარდაჭერას ელით/ისურვებდით ადგილობრივი მთავრობისგან?
7. გაქვთ თუ არა ინფორმაცია თუ როგორ უნდა მოიქცეთ გადაუდებელი სიტუაციების დროს? თუ გაქვთ - რა სახის და ვის უნდა მიმართოთ ამ დროს?
8. რას ფიქრობთ ოჯახში ძალადობაზე? შემცირდა თუ გაიზარდა იგი თქვენს სოფელში? ხალხი რას ამბობს?

შედეგების შეჯამება

რვა კითხვა შეესაბამება ექვს მთავარ თემას:

თემა #1.	ომის გავლენა ინდივიდებზე, ქალებსა და მამაკაცებზე და მათ თემებზე
თემა #2.	ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევები ამ თემებში
თემა #3.	ჯანმრთელობის მდგომარეობა, ომის შედეგად დაზარალებულთა ფსიქოლოგიური სურათი
თემა #4.	მოლოდინი ადგილობრივი ხელისუფლებისაგან
თემა #5.	ინფორმირებულობა გადაუდებელი სიტუაციებისა და ქცევის შესახებ
თემა #6.	ოჯახში ძალადობის სტატისტიკისადმი საზოგადოების დამოკიდებულება / აღქმა

ომის გავლენა ინდივიდებზე, ქალებსა და მამაკაცებზე და მათ თემებზე

ყველა ფოკუს ჯგუფში, მონაწილეთათვის ძალიან მტკივნეული იყო ომსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით მათთვის, ვინც 1990-იან წლებში და 2008 წელს ეს საკუთარ თავზე იწვნია (დევნოილები) და მათთვის, ვინც ცხოვრობს გამყოფი ხაზის გასწვრივ სოფლებში (კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანები).

გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ომის შედეგად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. თითქმის ყველას აქვს ფსიქოლოგიური ტრავმა და სტრესი.

განმუხურის ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობამ, კითხვაზე რა კვალი დატოვა მათზე და სოფელზე ომმა, უპასუხეს, რომ მათთვის ფსიქოლოგიურად მძიმე იყო გამყოფ ხაზთან ახლოს ცხოვრება და განსაკუთრებით მაშინ, როცა ომი მიმდინარეობდა, სოფლის ტერიტორიაზე თავისუფლად მოძრაობდნენ ოკუპანტები, დაწვეს ბიბლიოთეკა და მომავლის

ბანაკი. ყველას ემინოდა, რომ შემდეგი მისი სახლი იქნებოდა. აღნიშნეს, თითქოს „სიკვდილის სუნი ტრიალებდა ჰაერში“.

ზემო ნიქოზში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათ მუდმივი შიში და დაუცველობის განცდა აქვთ. თითოეულ მათგანს აგვისტოს ომის საკუთარი ისტორია და მოგონებები აქვს.

"ეხლა რაღაც რომ დაბრაგუნდება გული ცუდად მიხდება, მიჩქარდება. მაშინ ვერ ვგრძნობდი, ეხლა უფრო მოქმედებს ჩემზე. ცხინვალიდან სამხედრო სწავლების ხმა რომ ისიმის, ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემზე, ძალიან"; - ამბობს ერთი მონაწილე.

"ომის შემდეგ მე ძალიან მაღალი წნევა დამჩემდა, ჩემი მეუღლის გარდაცვალებასაც ომს ვუკავშირებ", - ამბობს მეორე;

სოფელ გრემისხევეში, კონფლიქტის გამყოფ ზოლთან ახლოს, მოსახლეობას შიშისა და დაუცველობის შეგრძნება აქვთ. ამ სოფელში ახალგაზრდების ძალიან სერიოზული მიგრაცია მიმდინარეობს, რასაც ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ომს უკავშირებენ.

„ახალგაზრდები მასიურად ტოვებენ სოფლებს, და ის რომ სკოლაში 12 კლასში 42 მოსწავლე სწავლობს, ამ ყველაფრის მკაფიო დასტურია.“ - ამბობს ერთერთი მონაწილე.

ეს საკითხი განსაკუთრებულად მძიმე აღმოჩნდა კარაღეთის დევნილთა ჩასახლების იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, იმდენად მძიმე, რომ ზოგიერთმა ცრემლების შეკავება ვერ შეძლო.

ერთ–ერთი მოხალისე კობა ყ. (39 წლის) ამბობს, რომ ომმა მისი სოფელი (კეხვი) უკვალოდ გააქრო და გაანადგურა, მის გულში კი მოუშუშებელი იარები დატოვა. ფოკუს ჯგუფის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე სოფიკო ყ. (17 წლის) აღნიშნავს, რომ რაც დრო გადის, უფრო მეტად განიცდის მომხდარს, სხვათა მსგავსად გული მასაც შესტკივა.

კითხვაზე "რამდენად განსხვავებულად იმოქმედა ომმა ქალებზე და მამაკაცებზე? ჩვენ მივიღეთ განსხვავებული პასუხები. ზოგიერთ ფოკუს ჯგუფში, მაგალითად, ზემო ნიქოზისა და კარაღეთის ჯგუფებში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მამაკაცები უფრო მეტად დაზარალდნენ.

მაგალითად, ვლადიმერ მ. (60 წლის) ამბობს, რომ ის, როგორც მამაკაცი, გულში იკლავს ტკივილს და ქალისაგან განსხვავებით, ამ თემაზე ნაკლებად საუბრობს. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, მეუღლესთან საუბრის ერთ–ერთი ძირითადი თემა ხშირად სწორედ თამარაშენია.

მანანა ზ. (60 წლის) საკუთარი მეუღლის მდგომარეობიდან გამომდინარე ადასტურებს,

რომ მამაკაცი მეტად განიცდის ომის შედეგებს, უჭირს რეალობასთან შეგუება. აღნიშნავს, რომ მეუღლისგან განსხვავებით, იგი მეტად ცდილობს საზოგადოებასთან კომუნიკაციას და სხვადასხვა საქმით დაკავებას, ყურადღების გადატანის მიზნით.

ნონა გ.-ის (29 წლის) თვალშიც მამაკაცია მეტად დაზარალებული. მისი ამგვარი შეხედულება უსაფუძვლო როდია – მამამთილის ნერვიულობამ და მძიმე განცდებმა მისი პარალიზება გამოიწვია.

გრემისხევისა და ინგირში თითქმის ყველამ თქვა, რომ ომმა ყველა თანაბრად დააზარალა, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები.

ზუგდიდის ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ომი ქალებისთვის უფრო საზიანო იყო. მონაწილეებმა დაასახელეს რამდენიმე კონკრეტული ფაქტორი:

მსგავსად იმოქმედა	განსხვავებულად იმოქმედა
<ul style="list-style-type: none"> • ოჯახის რჩენა • ომის შედეგად მიღებული სტრესი 	<ul style="list-style-type: none"> • სექსუალური ძალადობა ქალების მიმართ • ვეტერანი მებრძოლები არ არიან სათანადოდ დაფასებულნი • ალკოჰოლიზმი კაცებში, ფსიქოლოგიური ტრამვა ქალებში • გენდერული როლების ცვლა (ქალმა იტვირთა ორივე როლი)

კითხვაზე, “რა კვალი დატოვა ომმა თქვენზე და სოფელზე?” ზემო ნიქოზის ფოკუს ჯგუფის ბევრი რესპონდენტი აღნიშნავდა შეიარაღებული კონფლიქტის კვალს ნიადაგზე და შესაბამისად, ბოსტნეულებზე.

ლაურა: „აი, თუნდაც, პროდუქტებში ტყვიის შემცველობა, მიწაზე ხომ იმოქმედა, აბა საიდან მოდის რადიაციის ნიშნები, მოწამვლა, თუნდაც ამდენი ალერგიები რომ განვითარდა, თუნდაც სტომატიტი, თუნდა აი ძალიან ბევრი რამ.“

ბევრი რესპონდენტი ომის შედეგად ფსიქოლოგიურ ტრავმასა და სტრესს ასახელებს.

ნიკოლოზი: „ყველანაირად ცუდი გავლენა იქონია ომმა, პირველ რიგში ადამიანთა დაკარგვა, მეორე რიგში ტერიტორიული დანაკარგი და ტერიტორების პრობლემა, მესამე კი ის, რომ თითოეულმა ოჯახმა მიიღო ეკონომიკური პრობლემები და ზიანი. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოჯახებმა მიიღეს სტრესი, და რა თქმა უნდა ეს ყველაფერი უარყოფითად აისახა

ჯანმრთელობაზე, ბავშვებზე, ქალებზე და მოკლედ, ომმა სხვადასხვა სახის უარყოფითი გავლენა იქონია თითქმის ყველა ჯგუფზე.“

იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ზუგდიდში ომის მიერ გამოწვეულ შედეგებად დაასახელეს: სტრესი, ჯანმრთელობის გაუარესება და ოჯახური პრობლემები (ახალი ოჯახები არ იქმნება).

განმუხურის ფოკუს ჯგუფში ბევრჯერ აღინიშნა, რომ მოსახლეობის ფსიქიკაზე ამ ყოველივემ ძალიან მძიმედ იმოქმედა, განსაკუთრებით, დევნილებზე. მათ მოუწიათ საცხოვრებლის მიტოვება და ახალ ადგილას დაფუძნება. მათ ახლაც აქვთ გამყოფ ხაზთან ცხოვრებისას შიში, ჰგონიათ, რომ ეს ყველაფერი ისევ განმეორდება. ომმა არანაკლებად იმოქმედა ადგილობრივებზეც. მიუხედავად განვლილი 10 წლისა, მათ შიში და დაუცველობის განცდა ჯერ კიდევ არ განელებიათ.

ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევები ამ თემებში

ბევრ ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა ისაუბრეს ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევებზე, რომლებიც სამწუხაროდ, ძალიან ბევრია. ყველგან აღინიშნა სპეციალური დოკუმენტების ქონის საჭიროება, რომლებიც აუცილებელია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გადასასვლელად. დოკუმენტების არარსებობის გამო, მათ არ შეუძლიათ გადაკვეთონ გამყოფი ხაზი და მოინახულონ საკუთარი სახლები და სასაფლაოები. შეშის შეგროვება ტყეში ძალიან საშიშია. ხშირია შემთხვევა, როდესაც მსხვილფეხა საქონელი გადაკვეთს ხაზს. მათ არ შეუძლიათ საქონლის უკან გამორეკვა, რადგან საფრთხის შემცველია. ისინი შეიძლება რუსმა ჯარისკაცებმა გაიტაცონ.

განმუხურელები ყოველ წუთს თავს დაუცველად გრძნობენ. გარდა ამისა, მათი თქმით, გამყოფი ხაზი მათთვის ერთგვარად შიშის მომგვრელია. ბევრჯერ ყოფილა რომ მათი ოჯახის წევრები ვერ ჩამოდიან. აფხაზები, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად აფერხებენ მიმოსვლას, და თუ აუცილებლად უწევთ წასვლა, დიდი საფრთხის ქვეშ აყენებენ საკუთარ სიცოცხლეს. ვერც მოსაზღვრე სოფლიდან გადმოდიან, ვერც სკოლაში მიდიან სასწავლებლად და ვერც ექიმთან. ვერც ახლობლის გასვენებაში მიდიან და ვერც შეშის მოსატანად ან მიწის დასამუშავებლად. არაფერს ვამბობ საქონლის გადმოსარეკად გადასვლაზე.

ზუგდიდის ფოკუს ჯგუფის ორმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ადამიანის უსაფრთხოების სისტემა საერთოდ არ არსებობს, არც 2008 წელს იყო და არც ახლა არის.

„ჩემი უსაფრთხოება არ არის დაცული. ასეთივე შეშინებული და დაუცველი ვიყავი 2008 წელსაც. არ მუშაობდა უსაფრთხოების დაცვის არანაირი სისტემა. ეთნიკური ნიშნით ვერ გადავდივარ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.“ - თქვა ერთ-ერთმა მონაწილემ.

ადამიანის უსაფრთხოების ძირითად გამოწვევას, როგორც ნანა მ. (42 წლის) აღნიშნავს, წარმოადგენს სალოცავებისა და საფლავების მიუწვდომლობა, წელიწადში ერთხელ მაინც – აღდგომის დღესასწაულზე. მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ახლობლებთან გაწყვეტილი ურთიერთობა. ჭირს სატელეფონო კავშირი. ყველასთვის არა არის ხელმისაწვდომი სოციალური ქსელით სარგებლობაც.

ზემო ნიქოზში რესპოდენტებმა ახსენეს „ბორდერიზაციის“ პროცესი:

გუგა: „ვერ ვიტყვით, რომ დაცულად ვგრძნობთ თავს, რადგან მუდმივად ხდება საზღვრების გადმოწევა. ეს ყველაფერი რომ აღარ ხდებოდეს ომის შემდეგ ანუ აღარ ჰქონდეს ადგილი გავლებული საზღვრების გადმოწევას, კიდევ შეიძლება უსაფრთხოდ გვეგრძნოთ თავი, მაგრამ ატოცის ამბავს თუ გავიხსენებთ, საზღვრებს გვიწევს, ჩვენსკენ გადმოაქვთ და შესაბამისად, დაცულები არ ვართ. რა ვიცით, რომელ წელს, თვეს ან დღეს გაგვახსენებენ იმ მძიმე 2008 წელს?“

"ჩვენ არ ვგრძნობთ თავს დაცულად, როდესაც ცხინვალის სულ რაღაც 500 მეტრის დაშორებითა არის".

"გარკვეულწილად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, პოლიცია და სპეციალური ძალების მხარდაჭერით და ამ მხრივ, დაცულად ვგრძნობთ თავს, მაგრამ ზოგიერთი ინციდენტისგან (ტრენინგების დროს ბომბის შესაძლო აფეთქება, სროლები) ჩვენ დაცულნი არ ვართ.“

ჯანმრთელობის მდგომარეობა, ომის შედეგად დაზარალებულთა ფსიქოლოგიური სურათი

ყველა ფოკუს ჯგუფში მონაწილეებმა განიხილეს ომის შედეგად გამოწვეული სხვადასხვა დაავადებები, და ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჯანმრთელობის გაუარესების პროცესს.

დაფიქსირდა სხვადასხვა დაავადება: არტერიული წნევა, მხედველობის დაკარგვა, ენდოკრინოლოგიური პრობლემები და დიაბეტი.

ინგიერში გამოკითხულმა ადამიანებმა აღნიშნეს, რომ ომის შემდეგ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და გამოვლინდა სხვადასხვა დაავადებები: არტერიული წნევა, სახსრების, გულის და ონკოლოგიური პრობლემები.

მათ არ შეუძლიათ მკურნალობა, თუ მას არ ფარავს საყოველთაო დაზღვევა. მათ არ აქვთ საშუალება შეიძინონ წამლები, რადგან ისინი საკმაოდ ძვირია. თითქმის ყველას აქვს ფსიქოლოგიური ტრავმა.

კარალეთში აღინიშნა სახსრების, სმენის ორგანოების და ფსიქოლოგიური დაავადებები. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური ტრავმა ყველა თემისთვის საერთო პრობლემაა.

ერთადერთი გამონაკლისი იყო გრემისხევი. ამ ფოკუს ჯგუფის წევრები ომს არ უკავშირებენ ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯანმრთელობის მხრივ მათ აღნიშნეს მამოლოგიური პრობლემები.

ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მოლოდინი

კითხვაზე: „ადგილობრივ მთავრობისგან რა სახის სერვისებს ან მხარდაჭერას ელით/ ისურვებდით?“ პასუხები ზუგდიდის ჯგუფიდან ძირითადად იყო ნიჰილისტური:

„ადგილობრივი მთავრობისაგან არაფერს ვითხოვ. სურვილი მაქვს მივიღო საცხოვრებელი ფართი“.

„არ ვღებულობ მხარდაჭერას და არც ველოდები.“

„მთავრობისგან არასდროს მიგვიღია არანაირი მხარდაჭერა. სასურველი იქნებოდა კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილებსაც მიაქციონ ყურადღება.“

თუმცა ერთმა მაღლიერმა რესპოდენტმა, აღნიშნა:

„როგორც ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრე სოფელს, ხელისუფლებისგან დიდი მხარდაჭერა გვაქვს. ეს გამოიხატება სტუდენტების დაფინანსებაში და ინფრასტრუქტურულ პროექტებში.“

მოლოდინების კუთხით, უმეტესობა ეხებოდა ჯანდაცვის საკითხებს:

„ადგილობრივი მთავრობისგან ვისურვებდი ახალგაზრდებისთვის ოპერაციის თანადაფინანსებას და არსებობდეს გადაუდებელი სიტუაციის დროს ცხელი ხაზი და მომსახურების სერვისი“.

„ადგილობრივი მთავრობიდან სასურველია დევნილებს ჰქონდეს თანადაფინანსება ოპერაციაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომლებიც არ მუშაობენ და არ ფლობენ ქონებას“.

განმუხურის ჯგუფის პასუხიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი მთავრობა მოიაზრება, როგორც სხვადასხვა სტრუქტურებთან შუამავალი სოციალური პროექტების განსახორციელებლად და შეღავათების დასაწესებლად. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ გამყოფ ხაზთან ცხოვრება რთულია. მათ უჭირთ თავის რჩენა და დიდი გადასახადების (კომუნალური) გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ განმუხური ცნობილი

საზაფხულო კურორტია, იქაურ მოსახლეობაზე ეს ფაქტი ეკონომიურად არანაირად არ აისახება. განმუხურის 70 პროცენტს ძალიან უჭირს.

ინგირში მწვავე პრობლემად ისევ რჩება დასაქმება. დევნილები აღნიშნავენ, რომ მათი სურვილია მთავრობამ შექმნას დევნილებისთვის სპეციალური პროგრამები მათი გადამზადების კუთხით, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას. ანაკლიაში უნდა არსებობდეს პერსპექტივა დევნილთა დასაქმებისათვის, რაზეც მთავრობამ უნდა იზრუნოს.

გარდა ამისა, გამოკითხულმა ადამიანებმა აღნიშნეს, რომ სოფელში არ არსებობს არავითარი მომსახურება ახალგაზრდების განვითარების კუთხით. დიდი სურვილი აქვთ შეიქმნას არაფორმალური განათლებისა და ახალგაზრდების განვითარების სპეციალური პროგრამები და ჩატარდეს ღონისძიებები.

სოფელ გრემისხევში გაუსაძლისი პირობებია. ყველანაირ დახმარებას ელოდებიან მთავრობისგან. მიგრაცია, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული, სწორედ მოუწყობელი ინფრასტრუქტურის გამო ხდება.

პრობლემები:

- გრემისხევს აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, მაგრამ მის მეზობლად განლაგებული სოფლები, რომლებიც ზღვის დონიდან უფრო მაღლა არიან, რატომღაც ვერ სარგებლობენ იმ შეღავათებით, რასაც ღებულობს მოსახლეობა მაღალმთიანი სტატუსიდან გამომდინარე. ასეთებია: პეტრიანი, კვეელობა და ციხისუბანი.
- გზა გრემისხევამდე პრაქტიკულად გაუვალია და წვიმიან ამინდში სოფლამდე მისვლა შემოვლითი გზით არის შესაძლებელი.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მხოლოდ, დილას და საღამოს არის, ისიც თითო რეისი.
- არ არის სასმელი წყალი. 2020 წლისთვის დუშეთის მერი ხალხს დაჰპირდა ჭაბურღილის გაკეთებას.
- მოსახლეობას დაჰპირდნენ შეშის მოტანას, მაგრამ არ მოუტანეს. არჩევნების წინ ძალიან ბევრი დაპირება მისცეს და არცერთი არ შეასრულეს.
- პოლიცია არ ახდენს პატრულირებას. მოსახლეობის თქმით, სოფელი რომ წაიღონ, პოლიცია ვერაფერს გაიგებს.
- სოფლებს შემოეჩვივნენ ტურები, იტაცებენ საქონელს, ღორებს და ადამიანები ღამე ტუალეტში ვერ გადიან.

ადგილობრივი მთავრობისაგან რაიმე სახის ინიციატივას ეჭვის თვალით უყურებენ კარალეთის ფოკუს ჯგუფის წევრები, რადგან არა ერთხელ გაუცრუვდათ იმედები.

რაც შეეხება სურვილებს, საერთო აზრია, რომ სანიაღვრე სისტემა და შიდა გზები მოპირკეთებას საჭიროებენ. გარდა ამისა, ითხოვენ ბავშვებისათვის მინი-სტადიონის და სკვერის გაკეთებასაც. მოზარდები გამოთქვამენ სურვილს ისეთი ბიბლიოთეკის გახსნის, სადაც ადგილზე იქნება შესაძლებელი წიგნების წაკითხვასთან ერთად, სხვადასხვა სახის ლიტერატურული სადამოების მოწყობა. ახალგაზრდა დედები მნიშვნელოვან პრობლემად თვლიან დასახლებაში არსებული ამბულატორიის გაუმართაობას, მის არასათანადო აღჭურვას (მაგ.: არ არის გათბობა, ინტერნეტი, სასწორი და სხვა.) და ამ კუთხით პასუხისმგებელი ორგანოსგან ითხოვენ სათანადო ნაბიჯების გადადგმას.

ზემო ნიქოზის ჯგუფმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებისათვის არა არის ბევრი სერვისი. მათ სურთ, რომ მთავრობამ კულტურის სახლი ააშენოს და სათანადო მოედანი გააკეთოს.

ერთმა ახალგაზრდა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მადლიერია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის:

„ჩვენ, ახალგაზრდები, მადლობელი ვართ. ბიბლიოთეკის გაკეთებაში, რა თქმა უნდა, ძალიან დაგვეხმარა სოფლის რწმუნებული და დეპუტატი. დენი არ გვექონდა და თავის ხაზზე დაგვსვეს, ყველანაირად გვეხმარებიან და ამიტომ, რა ვიცი, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.“

ინფორმირებულობა გადაუდებელი სიტუაციებზე და ქცევის შესახებ

ფოკუს ჯგუფების არც ერთ წევრს არ აქვს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საგანგებო სიტუაციაში. ყველა მათგანის თქმით, ასეთ შემთხვევაში ისინი 112-ს მიმართავენ.

"გადაუდებელი სიტუაციის დროს მივმართავ 112-ს. სხვა ინფორმაციას არ ვფლობ, და მე მგონი, სტრუქტურაც არ არსებობს რეგიონში, ვინც ამ დროს უნდა დაეხმაროს ადამიანებს. ეს გამოვცადეთ 2008 წელს. ისეთივე დაუცველები ვიყავით, როგორც 1993 წელს." - განაცხადა ზუგდიდის ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა რესპონდენტმა.

საზოგადოების დამოკიდებულება/აღქმა ოჯახში ძალადობის სტატისტიკაზე

ფოკუს ჯგუფების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ თემებში ოჯახში ძალადობა გაიზარდა, მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს. ეს ტაბუ დადებული თემაა.

ერთ-ერთი რესპონდენტი სოფელი ინგირიდან ამბობს:

"ვფიქრობ, ყოველი მესამე ადამიანი ძალადობის მსხვერპლია. ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან მატერიალური. ზოგიერთ ადამიანს არც კი ესმის, რომ ის მსხვერპლია".

ზემო ნიქოზში პირიქით, ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ ამგვარი ფაქტები ადრე უფრო

ხშირად ხდებოდა, მაგრამ ქალები პოლიციას არ მიმართავდნენ. დღესდღეობით, არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ ამ საკითხზე, და ქალების აქტიურობაც გაიზარდა. მათ ამ საკითხებზე ცოდნაც გაეზარდათ.

კარალეთის დევნილთა ჩასახლების ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების თქმით, ძალადობის შემთხვევათა რიცხვი მინიმუმამდეა დასული, რასაც ძირითადად კანონის გამკაცრებას უკავშირებენ.

ზუგდიდის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიტიური როლი.

„ძალადობა ჩემს სოფელში ძალიან შემცირდა. ამაში დიდი როლი ითამაშა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა ტრენინგებმა.“

„არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, ადამიანებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს ოჯახში ძალადობის თემაზე (კანონები, სამოქმედო გეგმა) ის უფრო გამჭვირვალე გახდა.“

ზოგიერთის აზრით, ასეთი შემთხვევების რაოდენობა გაზრდილია და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მუშაობაა საჭირო.

„ოჯახში ძალადობა წარმოადგენს ერთ-ერთ მწვავე პრობლემას ჩვენს რეგიონში. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა კონფლიქტის საზღვრისპირა სოფლებში. ყოველდღიურად ირღვევა ქალთა უფლებები. ქალებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ. დაბალია ინფორმირებულობის დონე.“

ირუზა კაკავა, იგპ აფხაზეთიდან, ამჟამად მცხოვრები სოფელ კოკში, სამეგრელო

ჩემი ცხოვრების ისტორია

მოგესალმებით!

მე ვარ ირუზა კაკავა, დევნილი აფხაზეთიდან. წარმოვადგენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ვარ კოკი-ხურჩის ადმინისტრაციული ერთეულის მეორე მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი.

მინდა ვისაუბრო იმ პრობლემებზე და გამოწვევებზე, რის წინაშეც ვიდექით და რაც გვაწუხებს დღეს დევნილ და კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ ქალებს და გოგონებს. 2010 წლიდან ჩართული ვარ არასამთავრობო სექტორში, განვახორციელე სხვადასხვა სოციალური და

ეკონომიკური პროექტი. 2010 წელს ვიყავი ჩართული პროექტში „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის საქართველოში“, რომელსაც ატარებდნენ: „გაეროს ქალთა ორგანიზაცია“, „ფონდი ტასო“ და „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“. 2012 წელს დავაფუძნე ა/ო „ენგური 1“, პროექტის „დევნილი და მასპინძელი თემების გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებდნენ: დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“ და გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია „არბაითერ სამარიტერ ბუნდი“ (ASB). მათ ბაზაზე შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობების, დევნილ და სოციალურად დაუცველ მოზარდთა დღის ცენტრი. ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობამ ხელი შემიწყო ცნობიერების ამაღლებაში ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორც არის: ქალთა უფლებები, გუნდურობა, კომუნიკაცია და თვითმმართველობასთან თანამშრომლობა, გაერო-ს რეზოლუცია 1325, კონფლიქტოლოგია, პროექტების წერა და სხვა უამრავი მნიშვნელოვანი და საჭირო თემა, რომლის შესწავლამაც გამაძლიერა და გავხდი უფრო თვითდაჯერებული და მოტივირებული. ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა დავეხმარო დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს, გოგონებს და ადგილობრივებს გაძლიერებაში, განათლების მიღებასა და საზოგადოებაში ინტეგრირებაში. მინდა გითხრათ, რომ წინა წლებთან შედარებით, ქალები უფრო გააქტიურდნენ. მათ იციან საკუთარი უფლებები, ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობებში, პროექტებში, ესწრებიან ყველა შეხვედრას, რომელსაც მართავენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურები, და არასამთავრობო ორგანიზაციები სოფლებსა და ქალაქებში. მიუხედავად ამისა, ქალები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან.

მთავარი სატკივარი არის მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება, სასაფლაოების მონახულება და მოფერება. გადასასვლელი გზების (ოტობაია, ხურჩა) ჩაკეტვამ მოსახლეობას კიდევ უფრო დაუმძიმა ცხოვრება. ნათესავების მონახულების და გარდაცვლილების დატირების საშუალებაც კი არ გვაქვს, ამას მოწმობს 2019 წლის თებერვალში გადაღებული ცოცხალი სიუჟეტი ოტობაიის ხიდთან.

დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალები და გოგონები დროულად ვერ იღებენ სამედიცინო დახმარებას და ვერ ერთვებიან სხვადასხვა პროექტებში, რაც მათ დამატებით შემოსავალს მისცემდა. დევნილი და გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები და სრულწლოვანი გოგონები, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმყოფებიან საზღვარგარეთ და მძიმე შრომის შედეგად არჩენენ ოჯახებს. საქართველოში უნდა შეიქმნას საწარმოები და ჩვენი ქალები დასაქმდნენ ადგილებზე, საკუთარ ოჯახებთან ახლოს.

სკოლამდელ აღსაზრდელთა დაწესებულებებში, ძირითადად, ქალები არიან დასაქმებულნი,

თუმცა იმის გამო, რომ მათ არა აქვთ პედაგოგის სტატუსი, ხელფასები ძალიან დაბალი აქვთ, რაც დიდი გამოწვევაა. კარგად მოგეხსნებათ, რომ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ადგილობრივ დონეზე 12%-საც კი არ აღწევს.

დღეს მე ვარ „ფრაქცია ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილე“, რასაც დიდი ბრძოლის, ნერვიულობისა და შრომის შედეგად მივაღწიე. ამას ბევრი ქალი ვერ შეძლებდა. იმის თქმა მინდა, რომ მართალია ვიბრძვით, მამაკაცებზე მეტს ვმუშაობთ, მაგრამ ბოლოს მაინც უმცირესობაში ვხვდებით გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე. ამის ცოცხალი მაგალითია ზუგდიდის მერის არჩევნები, რომელიც დაგეგმილია 2019 წლის მაისში. ჩაატარეს მოსახლეობის გამოკითხვა, თუ ვის მისცემდნენ ხმას, სიაში 7 კანდიდატი იყო და მათგან არცერთი ქალი. სიმართლე გითხრათ, შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და ვიკითხე: ნუთუ ზუგდიდში არ მოიძებნა ისეთი ქალი, ვინც ზრუნავს ქალაქზე, ხალხზე, არის კარგი მენეჯერი, განათლებული ადამიანი და იცის, როგორ მოაგვაროს პრობლემები, აქვს ხალხთან კომუნიკაცია, იცის ხალხის ენა და ზრუნავს მათ კეთილდღეობაზე? ზოგადად იმის დაფიქსირება, რომ მერი მამაკაცი უნდა იყოს, დიდი გამოწვევაა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესში და გვაქვს „საგზაო რუკა“, სადაც გავითვალისწინეთ ყველა ის საჭიროებები და პრობლემები, რაც აწუხებს დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგონებს.

*** ** *

ციცინო ელიკაშვილი, სოფელ ზარდიანთკარის მცხოვრები, ასოციაცია „თხზობა“-ს მოხალისე

მიტოვებული სოფელი

2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს შორის განხორციელებული საომარი მოქმედებების დროს, სოფლის ქართველი მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი სახლები, ვინაიდან მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. სოფლის ნაწილი ეთნიკური ოსებით არის დასახლებული, მათ სოფელი არ დაუტოვებიათ, რადგან ოსები და რუსები იცავენ.

საქართველოს სამართალ დამცავებმა 2012 წლის ივნისის თვეში შეძლეს სოფლის

ტერიტორიის ნაწილის გაკონტროლება, ვინაიდან მეორე ნაწილს საოკუპაციო ხაზი ჰყოფს და რუსი სამხედროები აკონტროლებენ.

სოფლის მოსახლეობამ შესძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება, მაგრამ სამწუხაროდ, ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი უკან აღარ დაბრუნებულა უსაფრთხოებაზე ზრუნვის და სოციალურ-ეკონომიური გაჭირვების გამო. ისინი დღემდე ცხოვრობენ გორში, საბავშვო ბაღის შენობაში. სოფელში, ძირითადად, საპენსიო ასაკის ადამიანები არიან დარჩენილნი.

სოფელ ზარდიანთკარიდან მერეთის საჯარო სკოლა, 2017-2018 წელს, მხოლოდ ორმა მოსწავლემ დაამთავრა: თამაზ გაბლიშვილმა და მარი გაბლიშვილმა. ისინი, იმავე წელს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხნენ. 2018/19 სასწავლო წელს კი მერეთის საჯარო სკოლაში ერთი პირველკლასელი მოსწავლე არის - საბა თაზიაშვილი.

ომის დროს სოფელი გაურკვეველ ვითარებაში იძარცვებოდა, დაიწვა რამდენიმე სახლი, თითქმის ყველა მოსახლეს დაუზიანდა სახლის სახურავები და კარ-ფანჯრები გაუნადგურდათ ხეხილის ბაღები, დაიხოცა ფრინველი და მსხვილფეხა პირუტყვი. თითქმის განადგურდა ის საარსებო წყარო, რითაც მოსახლეობა ომამდე თავს ირჩენდა.

2018 წელს ი.გ.პ. ასოციაცია „თანხმობა“-ს წარმომადგენლები შეხვდნენ მოსახლეობას და მოისმინეს მათი პრობლემები. სოფელში დარჩენილ ხალხს დახმარება ესაჭიროებათ. ასოციაცია, პროექტი „ღირსეული სიბერე“-ს ფარგლებში, ბენეფიციარებს რეგულარულად, ადგილზე, უწევს დახმარებას. პერიოდულად, ექიმების მობილური ჯგუფი ახორციელებს უფასო სამედიცინო კონსულტაციასა და მედიკამენტებით დახმარებას. ასევე, ასოციაციამ მოსახლეობას გაუწია უფასო იურიდიული კონსულტაცია და დაეხმარა სასოფლო ნაკვეთების დარეგისტრირებაში.

2019 წლის 7 იანვარს, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებმა: ბატონებმა გია ვოლსკიმ და მამუკა მდინარაძემ, გორის მერიის წარმომადგენლებმა, ბატონებმა გიგა ხოჯევანიშვილმა და სიმონ გულედანმა და მერეთის თემის წარმომადგენელმა, ქალბატონმა რუსუდან კილაძემ მოსახლეობას მიულოცეს შობა-ახალი წელი და ყველა ოჯახს გადასცეს ტკბილეული და სხვადასხვა სახის პროდუქტი. შემოსავლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობისათვის ასეთი დახმარება მეტად მნიშვნელოვანია.

ომისაგან მიყენებული ზარალი იმდენად დიდია, რომ აღემატება თითოეული ოჯახის შესაძლებლობებს. საჭიროა დროულად მოხდეს საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია და შეიქმნას კომისია, რათა აღიწეროს ზარალი და სათანადო დახმარება გაეწიოს თითოეულ ოჯახს.

ჩვენს მიერ გაკეთდა სოფელში მცხოვრები ოჯახების საჭიროების და მათი სახლების

პრობლემების აღწერა, რომელიც გადაეცა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრს, მოსახლეობა დიდი იმედით ელოდება მთავრობის გამოხმაურებას.

სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობას შეხვდა გორის მერის მოადგილე, ბატონი ლუტო თოდაძე და მერეთის თემის წარმომადგენელი ქალ-ნი რუსუდან კილაძე. ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდა სოფლის საუბნო გზების მოხრეშვა, სასაფლაოს შემოღობვა და სოფლის ცენტრში მდებარე შენობის რეაბილიტაცია.

გორის რაიონში მხოლოდ ზარდიანთკარის მოსახლეობაა, რომლის გარკვეულმა ნაწილმა 4-5 წლის შემდეგ შესძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება ყოველგვარი დახმარების გარეშე. სოფლის მოსახლეობა მოითხოვს გათავისუფლდეს კომუნალური გადასახადებისაგან და მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, რათა სახელმწიფომ გაუწიოს სათანადო დახმარება ამ სოფლის მაცხოვრებლებს.

*** **

ლია მიქელაძე, სოფელი კოშკას მცხოვრები, ასოციაცია „თანხმობა“-ს წარმომადგენელი **ახალი შესაძლებლობები სოფელი კოშკასთვის**

26 იანვარს, მერეთის თემში სოფელ კოშკასა და გუგუტიანში მოსახლეობას შეხვდა გორის მერის განყოფილების უფროსი ბატონი ლუტო თოდაძე და მერეთის საკრებულოს გამგებელი ქალ-ნი რუსუდან კილაძე. შეხვედრაზე ისაუბრეს სხვადასხვა პრობლემებზე, რაც მოსახლეობას აწუხებს. მოხდა შეთანხმება, რომ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოსაგან გამოყოფილ თანხას გამოიყენებენ რამდენიმე პროექტის განსახორციელებლად და რომ კოშკაზე გამოყოფილი 12 ათასი ლარი მოხმარდება სარწყავი არხის ჩაბეტონებას და ასევე ზედა უბანში, ჭაბურღილზე, ფილტრის დამონტაჟებას, 24 საათიან წყლის მომარაგებას და გამრიცხველიანობას.

სოფელ გუგუტიანზე გამოყოფილი 10 ათასი ლარი მოხმარდება სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწესრიგებას, ჭაბურღილზე ფილტრის დამონტაჟებას, 24 საათიანი წყლის მომარაგებას ზედა უბანში და გამრიცხველიანობას.

სტატისტიკის მიხედვით, სოფელ კოშკაში 125 კომლი ცხოვრობს, 482 მოსახლე. გუგუტიანში 96 კომლია, 253 მოსახლე, ზარდიანთკარში კი 31 კომლი, 129 მოსახლე.

2008 წლის ომის დროს რყევის გამო სოფელში თითქმის ყველა შენობის კედლები და სახურავები დაზიანდა. მოხდა ზიანის აღწერა, მაგრამ დახმარება მცირედმა მიიღო. სოფლის ტერიტორიის ნაწილი, ასევე საძოვრები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. მოსახლეობის საარსებო წყაროს მესაქონლეობა და მეხილეობა წარმოადგენდა. ტერიტორიის დაკარგვის გამო სოფელში შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვი, მოსახლეობას არ აქვს პირობები საქონელის შესანახად და გამოსაკვებად. ამასთან ერთად, გაუარესდა ეკონომიური მდგომარეობა. ხილის ბაღების მოსავლელად საჭიროა ფინანსების მოძიება, რაც მოსახლეობას არ აქვს. მოსახლეობა ვერ ახერხებს აგრობარათებზე აღებული თანხის დაბრუნებას ბაზარზე პროდუქციის ფასების ვარდნისა და გასაღების გამო. მთავრობა მოსახლეობას პირდებოდა სოციალურ შემწეობას, რაც პირიქით მოხდა. თითქმის ყველას შეუჩერეს დახმარება, მხოლოდ მცირედს ეძლევა შინაურული მფარველოვის მხრიდან. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო გაითვალისწინებს ამ პრობლემებს და მოსახლეობას მიაწოდებს რაიმე სტატუსს, რის საფუძველზეც ყველა ოჯახს მიეცემა სოციალური დახმარება. ასევე პრობლემას წარმოადგენს უსაფრთხოება. ძალოვანი სტრუქტურები ყველანაირად ცდილობენ მოსახლეობის დაცვას, მაგრამ ოსები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩუმად იპარებიან და ხდება მოსახლეობას აშინებენ, ემუქრებიან და იტაცებენ. იმ ადამიანებს, ვინც ამ სისტემის მსხვერპლი გახდა, არ გააჩნიათ არანაირი სტატუსი და შეღავათები, რაც სამწუხაროა.

*** **

არინა თავაქარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ქართულ-ოსური კონფლიქტი

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემა არის ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელიც ბოლო 30 წლის მანძილზე მიმდინარეობს. იგი დაიწყო ცხინვალში სამოქალაქო პროტესტით საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ და მისი გამოცხადების შემდეგ სხვადასხვა ფორმით წარმოჩინდა. მუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ქართულ-ოსური კონფლიქტის სახელით მოიხსენიება, კონფლიქტი მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განვითარდა და, საბედნიეროდ, არ მოიცვა მთელი საქართველო. თუმცა თავიდან რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე და იმავდროულად შეჩერდა და განვითარება არ მოჰყოლია. დღესაც საქართველოში ჩვეულებრივ, მშვიდ გარემოში ცხოვრობენ ქართველებიც და ოსებიც და არანაირ დამაბულობას ადგილი არა აქვს.

განსაკუთრებით მშვიდი და სამოქალაქო თანაცხოვრება კარგად აღსაქმელია ე.წ გამყოფი

ხაზის, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში, სადაც ბევრია შერეული ოჯახი. მათი ურთიერთობა და არაერთხელ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ მათ ჩვეულებრივ ყოფით გარემოში ცხოვრებას.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სოფლებში მაცხოვრებელ ადამიანებს თითქოს არა აქვთ პრობლემები და რუსეთ-საქართველოს ომს მათ ცხოვრებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ომის შედეგებს დღემდე უმკლავდება სოფლის მოსახლეობა. მათთვის უმნიშვნელოვანესია სტაბილური, მშვიდობიანი გარემო პირობები და ეკონომიკური განვითარება, რომელიც მათზე და მათი შვილების უკეთეს მდგომარეობაზე და წინსვლაზე უნდა აისახოს. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოს აქტიური ქმედება საერთაშორისო არენაზე, ხელისუფლებებისაგან სოციალური პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება და საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემატური მონაწილეობა კონფლიქტების მოგვარებაში.

დღემდე აღნიშნული საკითხის განხილვა გლობალურ სივრცეში ნაკლებად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლიდან, პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, ჟენევის ფორმატში ეწყობა შეხვედრები ორივე მხარის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მიერ ორმხრივი შეთანხმების (საქართველო-რუსეთის ხელისუფლების) საფუძველზე, ეს ფორმატი დღემდე არასტაბილურად და ნაკლებად შეთანხმებული შედეგებით, მაგრამ მაინც მუშაობს.

ნაკლებად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მოცემული კონფლიქტი არ მიიჩნეოდა მნიშვნელოვნად და შესაბამისად, მის პრევენციულ საშუალებებზეც საერთაშორისო თანამეგობრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები ნაკლებად ფიქრობდნენ. ამ კონფლიქტის მოგვარებისათვის სტრატეგიული ხედვების შემუშავება გლობალურ სივრცეში თითქმის არ მომხდარა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა გამოავლინა ამ კონფლიქტის სიმძიმე, დაგვანახვა რეალობა და კონფლიქტის ძირითადი მიზანი, რაც მდგომარეობს აღნიშნული ტერიტორიის ომით მიტაცებაში და აბრეშუმის გზის ოკუპირებით, საქართველოს ეკონომიკური რესურსის ომის საშუალებით დაუფლებაში, რასაც შედეგად საქართველოს ეკონომიკური დასუსტება მოჰყვა. ამდენად, დღეის მდგომარეობით, სხვა გამოწვევებთან ერთად, საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქართულ-ოსური კონფლიქტი და ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების საკითხი.

ომით გამოწვეული სიმძიმე დააწვა იქ მაცხოვრებელ ადამიანებს და გაუჩინა დაუცველობის შეგრძნება, რასაც ემატება მიწაზე სამუშაოდ გასული ადამიანების გახშირებული გატაცებები. ეს შიშს ნერგავს და იწვევს მიგრაციას, განსაკუთრებით, ახალგაზრდების.

ამიტომაც, ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების, შემდგომ კი სიძლიერის

თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის სიღრმისეული კვლევა, სტრატეგიული გზების დასახვა, რომ მომავალში ქართველებსა და ოსებს შორის განახლდეს ომის შედეგად დაკარგული ნდობა და მოხდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ დღემდე სიღრმისეულად და ცალ-ცალკე, ისტორიულად, არ იქნა შესწავლილი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები, კონფლიქტის განვითარების სტადიები და ხელოვნურად ინსპირირებული პროცესების მიმართ ყოველთვის არაადეკვატური ქმედებები. თუმცა გვაქვს კვლევები, სადაც მხოლოდ ისტორიული პროცესებია თანმიმდევრობით ასახული.

დღევანდელი მოცემულობა ითხოვს სწრაფ და ოპერატიულ ქმედებას სოციალური საკითხების მოგვარების კუთხით. აუცილებელია გრძელვადიანი პროექტები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდობის სოფელში ცხოვრების მდგრადობას გაზრდის და დააბრუნებს აქტიურ სიცოცხლისუნარიანობას წელიწადის ოთხივე დროში და არა მარტო ზაფხულში და საახალწლოდ.

შეხვედრები გვექონდა გუგუტიანთკარში, ზარდიაანთკარში, კნოლევიში, დიცში და ყარაფილაში. ამ სოფლებს უსაფრთხოების პრობლემა აერთიანებთ და შიში მშვიდობიანი მოქალაქეების გატაცებისა, აგრეთვე, შიში იმისა, რომ ისევ არ გადმოკვეთოს რუსულმა ჯარმა უკვე ე.წ. ოკუპირებული ტერიტორია და ისევ არ შემოიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ სოფლების ნაწილში ომით გამოწვეული ზიანი არ ყოფილა, სოციალური პრობლემები თითქმის იდენტურია. კერძოდ, სოფლებში არ არის მაღაზია, სადაც ელემენტარული მოხმარების საგნებსა და პურს იყიდიან (დიცში არის მაღაზია და ჯიხურები), არ არის აფთიაქი და ამბულატორია. პირველადი მოხმარების წამლებზე 3 კმ-ს გავლა მაინც უწევთ. გუგუტიანთკარელებს სასმელი წყლის პრობლემა დღემდე აქვთ, ზარდიაანთკარელებს კი ომიდან მეათე წლის თავზე, ჯერ კიდევ, არა აქვთ მოწესრიგებული სახლების სახურავები და ნაწილს ე. წ. „ბრეზენტი“ ფარავს. ათოვს და აწვიმს მათ სახლებს. მათი მიწების ნაწილი საოკუპაციო საზღვარს იქით მოხვდა, არადა მათი შემოსავალი ამ მიწებზე მოწეული მოსავლის რეალიზაციით იყო. ისინი შემოსავლის გარეშე, ან მცირე შემოსავლის ამარა დარჩნენ და მათი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა გაუარესდა. ამას დაემატა დაუსაქმებლობა და დაწყებულია ახალგაზრდების მასიური გადინება სოფლებიდან. ეს კი სოფლებში მაცხოვრებელთა შემცირებას და თანდათანობით დაცლას იწვევს. პროცესმა შეუქცევადი სახე არ უნდა მიიღოს, რადგან დაცარიელებული ტერიტორია ადვილად დაექვემდებარება მცოცავ ოკუპაციას. ასეთია ზოგადი სურათი ამ სოფლების მდგომარეობის შესახებ და რაც სპეციალური კომისიის შექმნას, პრობლემების კიდევ ერთხელ

დეტალურად შესწავლასა და შემდგომ აუცილობელ მოგვარებას საჭიროებს.

ჩვენი მთავარი პრობლემა გრძელვადიანი, სტრატეგიული ხედვის და პროგრამის არქონაა, რაც სახელმწიფოს და ხელისუფლების ვალდებულებაა. ასეთი მიდგომა გრძელვადიან პერსპექტივაში ნდობის აღდგენას კიდევ ერთხელ შეუწყობს ხელს, შექმნის უსაფრთხო გარემოს და საწინდარი გახდება ტერიტორიული ერთობისა.

ნუკრი ყველაშვილი, აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის IV ჯგუფის თანაკოორდინატორი

სოფელ ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში არსებული მდგომარეობა

19 დეკემბერს სახალხო დამცველთან ერთად ვიმყოფებოდი გამყოფი ხაზის მდებარე დევნილთა ჩასახლებაში, სოფელ ხურვალეთში, სადაც მოვინახულე მავთულხლართებს იქით, ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები დათა ვანიშვილი. ასევე ვიმყოფებოდი ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში არსებულ სათემო ცენტრში, სადაც შევხვდი სოფელ ხურვალეთის, ასევე ადგილობრივ და ახლომდებარე დევნილთა ჩასახლებებში (შავშევი, გორი) მცხოვრებ 30-მდე მაცხოვრებელს და შიდა ქართლში ბაზირებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებს. სამწუხაროდ, ჩასახლებაში დევნილთა პირობები იმაზე უფრო მძიმე აღმოჩნდა, რასაც ველოდებოდი. შევეცდები აღვწერო მათი გასაჭირი. შეხვედრაზე დევნილებმა ვრცლად ისაუბრეს მათ წინაშე არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა სახის პრობლემებზე. სამწუხაროდ, აგვისტოს ომიდან 10 წლის შემდეგაც, კვლავაც მოუწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ჩასახლების შიგნით შიდა გზებზე ასფალტი არ არის დაგებული, ასევე, არ არის გაყვანილი საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები. დევნილები მოკლებულნი არიან ელემენტარულ ჰიგიენურ პირობებს. ჩასახლებაში არსებული სახლები არ არის დაპროექტებული და აშენებული საპირფარეშოსა და საბაზანოსთან ერთად. საპირფარეშოები მოწყობილია ეზოებში, ასევე, საბანაოთაც იძულებულნი არიან გამოიყენონ საპირფარეშოები, რაც განსაკუთრებით წვიმისა და სიცივის დრო, მოსახლეობისთვის ქმნის დისკომფორტსა და პრობლემებს. მოსახლეობის განცხადებით, ჩასახლებაში თავდაპირველად აშენდა 2 აბანო ქალებისა და კაცებისთვის, თუმცა, მათი განცხადებით, ქარიანი ადგილის გამო მოსახლეობა გაციების შიშით თავს არიდებდა აბანოში სიარულს. შემდგომ, ერთი აბანო საბავშვო ბაღად გადააკეთეს, ხოლო მეორე კი დღემდე დაკეტილია.

მოსახლეობის განცხადებით, არ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი. ერთ-ერთ

მაცხოვრებელს ჰყავს მიკროავტობუსი (მოსახლეობის განცხადებით, გაუმართავ მდგომარეობაშია და მუდამ ფუჭდება), რომლითაც ახორციელებს რეისს გორამდე. ეს საკმარისი არ არის, რადგან ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. თბილისში გადასაადგილებლად კი, მოსახლეობას უწევს ცენტრალურ ავტომაგისტრალამდე საკმაოდ დიდ მანძილზე ფეხით გადაადგილება, რაც განსაკუთრებით რთულია თოვლსა და წვიმაში. ჩასახლებაში მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობიდან გამომდინარე, ასევე გართულებულია ამბულატორიული მომსახურება. მის მისაღებად და მედიკამენტების შესაძენად უწევთ გორში წასვლა, რაც განსაკუთრებით პრობლემურია მოხუცებულებისათვის.

ჩასახლებაში ჰყავთ ოჯახის ექიმი, თუმცა, მას ელემენტარული სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტებიც კი არ გააჩნია. მათი განცხადებით, ხშირად სპირტსა და ბამბასაც საკუთარი თანხებით ყიდულობსო.

რაც შეეხება მიწათმოქმედებას, სახნავ-სათესი მიწების სიმორის გამო, დევნილები კუთვნილ ნაკვეთებს ვერ ამუშავებენ. ბევრი მათგანი იძულებული შეიქმნა გაეყიდა მიწები (განსაკუთრებით, მოხუცებულები, რომელთაც უჭირდათ შორ მანძილზე გადაადგილება). ცალკე პრობლემაა სარწყავი სისტემის არარსებობა, რის გამოც ვერც ხეხილის მოყვანას ახერხებენ და სრულფასოვანი მოსავლის მოყვანაც შეუძლებელია. წლების წინ ნიორზე გაზრდილი ფასის გამო, ბევრმა ოჯახმა მისი მოყვანა დაიწყო, თუმცა წელს ბაზარზე მისი ძალიან დაბალი ფასის გამო თვითღირებულების ამოღებასაც ვერ ახერხებენ და გაუყიდავი უდევთ სახლებში. ბევრ მათგანს თავის გასატანად დაქირავებულ მუშებად უწევთ მუშაობა, ისიც სეზონურად და თან ძალიან მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჩასახლებაში მცხოვრებ საკმაოდ მრავალრიცხოვან სკოლის მოწაფეებს (როგორც გვითხრეს, მათი რაოდენობა 70-მდეა) სამწუხაროდ, არ ემსახურება სასკოლო ავტობუსი, რის გამოც ძალიან პრობლემურია მოწაფეების გადაადგილება. მათ უწევთ 3-4 კილომეტრის ფეხით გადაადგილება. დევნილებმა ასევე სინანული გამოთქვეს, რომ ადგილობრივ სკოლაში არანაირი სასწავლო წრე არ ფუნქციონირებს და მოზარდებს თავისი ინტერესის მიხედვით განვითარების საშუალება არ აქვთ. როგორც დედებმა გვითხრეს, ადრე იყო გახსნილი ქართული ცეკვის წრე და ბავშვებიც ძალიან მონდომებულები იყვნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრმა ოჯახმა ვერ შესძლო გადაეხადა თანხა და წრე გაუქმდა. მოსახლეობის განცხადებით, ჩასახლებაში არსებული მძიმე ვითარება, განსაკუთრებით, უარყოფითად ახალგაზრდებზე აისახება, ვინაიდან ისინი დასახლებაში დარჩენით ვერ ხედავენ საკუთარი პიროვნული განვითარების პერსპექტივებს და იძულებულები არიან თბილისში ან სხვაგან გადავიდნენ.

ეს არის მოკლედ, რაც შეიძლება ითქვას ხურვალეთის დევნილთა ჩასახლებაში არსებულ გაუსადღის ყოფაზე. სამწუხაროდ, ბევრი აქ აღნიშნული პრობლემა და გამოწვევა კვლავაც აქტუალური და მოუგვარებელია სხვა დევნილთა ჩასახლებებში, მიუხედავად ხელისუფლების მიერ განხორციელებული მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებისა და პროგრამების. სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა გაათმაგებული რესურსების და ძალისხმევების მიმართვა დევნილთა საჭიროებებისა და მოთხვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ბადრი ციქუბაძე, სამოქალაქო აქტივისტი, სოფელი კნოლევი, ქარელის რაიონი

ფრონის ხეობის კონფლიქტის პირა სოფლები

ფრონის ხეობის, კონფლიქტის პირა სოფლებისთვის, კნოლევისა და ატოცისათვის 2017 წლისგან დიდად განსხვავებული არც გასული 2018 წელი ყოფილა. კვლავ იყო ადამიანთა გატაცების განხორციელებული თუ გაუხმაურებელი ფაქტები, ისევე გაგრძელდა „ბორდერიზაციის“ პროცესი და კვლავ ჩამოსცილდა საქართველოს იურისდიქციას ათეულობით ჰექტარი მიწა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სარჩო-საბადებლის გარეშე დარჩა. თუმცა, ერთი საინტერესო ცვლილება თვალშისაცემია. როდესაც სოფელ კნოლევის გასწვრივ აბამდნენ მავთულხლართებს, ეს ფაქტი რამდენიმე მედია-საშუალებამ ზერელებდ გააშუქა და მომხდარი მალევე დავიწყებას მიეცა. რაც შეეხება ატოცს, აქ რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. რუსი სამხედროების მიერ „ბორდერიზაციის“ მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებისთანავე მობილიზებულ იქნა მედია საშუალებები და ხშირად, დღეში რამდენიმე სიუჟეტს გვთავაზობენ, ქრონოლოგიის მიხედვით. მეორე აღსანიშნავი ფაქტია სამოქალაქო სექტორის აქტიურობა, რაც გამოიხატება ე. წ. საზღვარზე დღეღამურ მორიგეობასა და სხვადასხვა აქტივობებში.

მიუხედავად სიტუაციის განვითარების სხვადასხვაობისა, ორივე სოფელზე მძიმედ აისახა კონფლიქტის და პოსტ-კონფლიქტის პერიოდში განვითარებული მოვლენები: დაიკარგა სახნავ-სათესი მიწების ნაწილი, სამოვარი მიწები და ტყეები. კნოლევის შემთხვევაში, ოსური მხრიდან გადაიკეტა სარწყავი არხები. შედეგად მივიღეთ კატასტროფულად შემცირებული წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ოდენობა და ისედაც გამოფიტულ მიწებზე უწყლობისგან გადამხმარი ნათესები.

შემოსავლის მკვეთრი კლების, შიმშილის საფრთხის, ადამიანების გატაცების და საზღვრების გაუთავებელი გადაწევის შემდეგ გაზრდილი დაუცველობის განცდა გახდა ახალგაზრდა ოჯახების უმეტესობისათვის სოფლიდან გახიზვნის მაპროვოცირებელი ერთ-ერთი ფაქტორი. დარჩენილი მოსახლეობა კი მაღალი რისკის ქვეშა არის დარჩენილი, არაერთი პარამეტრით.

ქალბატონი ლაურა, რომლის სახლიც გამყოფ ხაზთან მდებარეობს, გვიყვება: „პირველი არეულობის დროსაც ურთულესი მდგომარეობა იყო. ბრძოლის ხაზთან სიახლოვის გამო, ჩვენს ეზოში წვიმასავით ცვიოდა ტყვიები. ერთ დღესაც ზნაურიდან გამოსროლილი ჭურვი ჩემს სახლთან დაეცა, ანასხლეტმა თავის ქალა დამიზიანა და სასწაულებრივად გადავურჩი სიკვდილს, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობებით. იმავე წელს ჩემი ქმარი ემსხვერპლა შეტაკებას. მომიწია შვილების მარტოდ გაზრდა, გაჭირვებით და ვაივაგლახით. ახალგაზრდებმა თავს ქალაქში წასვლით უშველეს და არც ვამტყუნებ. ასაკში რომ არ ვიყო, მეც ასევე მოვიქცეოდი. ახლა შეჩვეული ვარ აქაურობას და უდიდესი საფრთხის მიუხედავად, აქ ყოფნა მირჩევნია. 2018 წლის ზაფხულში საკუთარ ყანაში მუშაობის დროს გამიტაცეს რუსმა სამხედროებმა, 5 დღე ვიყავი ცხინვალის იზოლატორში. ვერ ვიტყვი, რომ ცუდად მექცეოდნენ, თუმცა ის შიში, და უმძიმესი სტრესული განცდები დღემდე არ გამნელებია. ხანდახან სიზმარში ვხედავ თუ თავს როგორ მესხმიან და შუალამით, გულამოვარდნილს მეღვიძება. დამლაპარაკებელიც კი არავინაა, რომ ფიქრები სხვა თემაზე გადაიტანო, მერე თვითონ ვიმშვიდებ თავს, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო და ყველაფერი კარგად იქნება. 25 წელია შიშში ვცხოვრობთ. მე ჯანდაბას, შვილებს მაინც მოუწიოთ მშვიდობიან დროში ცხოვრება. მენანება ოფლით და შრომით, ედემად ქცეული მამა-პაპეული ბაღ-ვენახი. ეს ყველაფერი რატომ უნდა განადგურდეს?“.

ომის შემდეგ სოფლებში დამდგარი მძიმე ეკონომიკური, ფსიქო-სოციალური თუ უსაფრთხოების პრობლემები პირდაპირ, ნეგატიურ გავლენას ახდენენ ქალთა და ახალგაზრდათა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მათ ჯანმრთელობასა თუ აუცილებელი სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში არა ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა(გაიყვანეს ბუნებრივი აირი და წყალი, აშენდა სკოლა და ამბულატორია, მოეწყო მინი სტადიონები, დაიგო გზები და მოხდა ინტერნეტიზაცია) რამაც მეტ-ნაკლებად შეამსუბუქა ყოფა, თუმცა ჯერ კიდევ რჩება უამრავი პრობლემა, მოსახლეობის ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს არსებული საფრთხის განცდა და პოსტ-ტრავმული სტრესი, რაც დიდი ალბათობით, განაპირობებს ოჯახში ძალადობის, კონფლიქტის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა თუ ალკოჰოლიზმის გახშირებულ ფაქტებს ქალებსა და მამაკაცებში. გახშირებულია მოსახლეობის შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ,

უმეტესწილად არალეგალურად, რაც არანაკლები საფრთხის შემცველია.

P.S. ვიმედოვნებ, რომ 2019 წელი იქნება მშვიდობის, მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების, ფსიქო-ემოციონალური, მენტალური თუ ყოფითი პრობლემების შემსუბუქების, ურთიერთგაგების, ტოლერანტობის ზრდის და სიყვარულის წელი.

ლეილა აშორდია, ი.გ.პ. ასოციაცია „თანხმობა“-ს წყალტუბოს ფილიალის ხელმძღვანელი

დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობები ქალაქ წყალტუბოში

იმის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა წყალტუბოში ამ ეტაპზე განსახლებულ დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილების კუთხით, ვესტუმრე ყველა პასუხისმგებელ პირველ პირს და ჩავწერე ინტერვიუ.

პირველი ინტერვიუ შედგა წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარესთან

გრიგოლ ივანიშვილთან.

კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა დღესდღეობით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში და მიმდინარეობს თუ არა მშენებლობები დევნილთა ბინით უზრუნველყოფისთვის?

ბატონმა გრიგოლმა უპასუხა, რომ საქმის კურსში იყო, რომ მიმდინარეობს მშენებლობა, მაგრამ არ იცოდა, როდის დაიწყოს ორი 10-სართულიანი სახლის მშენებლობა და როდის დასრულდება. გარდა იმ ორი სახლისა, კიდევ 6 სახლი უნდა აშენდეს და არის თუ არა ეს ტენდერი მოგებული და კომპანია გამოვლენილი, არც ამაზე ჰქონდა დაზუსტებული პასუხი. მან ეს ინფორმაცია იურიდიული სამსახურის მეშვეობით დააზუსტა, მაგრამ არც იურიდიული კომიტეტი აღმოჩნდა კომპეტენტური - არ იცოდნენ, რამდენ სართულიანი სახლები უნდა აშენდეს, მოკლედ, მიახლოებითი ინფორმაციით შემოიფარგლებიან, და იმის მიზეზად, რომ არ არიან ბოლომდე გარკვეული, ასახელებენ იმას, რომ მათ არავინ აყენებს საქმის კურსში, ამას ცენტრალიზებულად აკონტროლებენ და მონიტორინგის ჯგუფიც ცენტრიდან აკონტროლებს.

კითხვაზე, თვლიან თუ არა ისინი, რომ უნდა იყვნენ ჩართულნი ამ საქმეში და უნდა ახორციელებდნენ თუ არა ისინი მსგავს აქტივობას, პასუხი თითქმის იგივე იყო.

ასეთივე პასუხი ჰქონდა ქალაქის მერს - გრიგოლ იოსელიანს. მან მეტ-ნაკლებად იცოდა, რომ

უკვე აშენდა ორი სახლი და უნდა აშენდეს კიდევ 6 სახლი, სულ რვა ათსართულიანი სახლი, მაგრამ ვადებზე არც მას ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია და ის, რომ ხარვეზები გაჩნდა გასულ წელს. მშენებლობა სამშენებლო კომპანიის მიზეზით შეჩერდა, რადგან მათ მუშებს თანხა ვერ გადაუხადეს და დღესდღეობით ეს ორი სახლი სხვა კომპანიამ გადაიბარა, რათა წლის ბოლომდე ჩაბარდეს.

მერის მოადგილემ **ალეკო დადუნაშვილი** კი თავისი აზრი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ჩვენ ჩართულნი ვართ ყველა საქმიანობაში, ვესწრებით ყველა შეხვედრას, ვხვდებით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებს და ა. შ. ეს სტანდარტული პასუხები, თითქოს, არაკომპეტენტურად ჟღერდა.

კითხვა: როგორია სახელისუფლებო შტოებს შორის ინფორმაციის გაცვლის და კომუნიკაციის სისტემა (ადგილობრივი ხელისუფლება, გუბერნია, აფხაზეთის წარმომადგენლობა და დევნილთა სამმართველო)?

ყველა ეს ადამიანი კომუნიკაციის ნორმალიზებაზე საუბრობდა, რომ კომუნიკაცია არსებობს და რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იყვნენ საქმის კურსში. ესეც სტანდარტული პასუხი უფრო იყო, ვიდრე რეალობა.

კითხვა: თვლის თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა თავს მედიატორად სამშენებლო პროცესებში, ხარვეზების გამოსწორების და ღირსეული საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის საკითხებში?

ყველა მათგანი, თავს ვერ თვლის მედიატორად. მიზეზად კი მათ ის დაასახელეს, რომ მათ არ ეკითხებიან, არ აყენებენ საქმის კურსში და რომ ისინი არ არიან ჩართულნი ამ პროცესებში.

კითხვაზე - ჰქონიათ თუ არა მათ დევნილთა ინტერესების დაცვის პრაქტიკა და რა ურთიერთობა ჰქონიათ სამშენებლო კომპანიებთან, პასუხი იყო უარყოფითი. სამშენებლო კომპანიებთან ისინი არ ურთიერთობენ. ამისთვის არის ცენტრალიზებული მონიტორინგის ჯგუფი. კითხვაზე - ისევ და ისევ მათი პრობლემა გახდება თუ არა ხარვეზებით აშენებული სახლები, რომლებიც შემდგომში ქალაქის პრობლემად შეიძლება წარმოგვიდგეს, და მათ ბალანსზე აყვანილი სახლები, ერსპოდენტის პასუხი ცალსახა იყო, რომ მათ არ ეკითხებიან ამას მშენებლობის პროცესში.

კითხვაზე, რა შეიძლება გაკეთდეს საამისოდ და რა რესურსი შეიძლება გააჩნდეს ამა თუ იმ რგოლს?

პასუხობდნენ, რომ თუ მათ კომპეტენციაში შევა და მათ დაევალება მონიტორინგი და

შუამავლის როლი. რა თქმა უნდა, ამას შეძლებენ და გააკეთებენ. თვითმმართველობის ხელმძღვანელობა, მათივე თქმით, პასუხისმგებლობას არანაირად არ გაურბის, უბრალოდ, ეს არ ევალებათ და რაც ევალებათ, იმის მაქსიმუმს აკეთებენ.

კითხვაზე: არიან თუ არა საქმის კურსში, რომ დევნილთა ახალი დასახლების ათივე სახლში ჩამოყალიბებულია ბინების მესაკუთრეთა ამხანაგობა და მიმართეს თუ არა ამხანაგობებმა მათ დახმარებისათვის?

გრიგოლ ივანიშვილი: - დევნილი საზოგადოება ამ და სხვა რიგით საკითხებზე, ძირითადად, მიმართავს მერიის შესაბამის სამსახურებს და თუ განსაკუთრებული და სპეციფიკურია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდიან საკრებულოში.

გრიგოლ იოსელიანი: - რა თქმა უნდა, მოგვმართავენ და შეძლებისადაგვარად ვეხმარებით მათ.

ალეკო დადუნაშვილი: - დევნილები, ძირითადად, სოციალური და ჯანდაცვის საკითხებზე მოგვმართავენ. მან პროგრამების ჩამონათვალი გააკეთა, მაგრამ ბინით უზრუნველყოფის საკითხები არ არის მათი კომპეტენცია და არც ამ კუთხით მოგვმართავს ვინმე.

კითხვა: თვლით თუ არა, რომ უნდა იყოს ჩართულნი მშენებლობების, სანატორიუმების გასხვისების და დევნილთა ბინით უზრუნველყოფის საკითხებში?

ყველა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუკი ეს მის კომპეტენციაში იქნება, სიამოვნებით ჩაერთვება. ალბათ შედეგებიც უკეთესი იქნება, მაგრამ დღესდღეობით ეს მათ კომპეტენციას სცდება, სწორედ ესაა მიზეზი, რომ ისინი არ მონაწილეობენ პროცესებში.

კითხვით მივმართე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ბატონ **ზაზა ჩაჩავასაც**. ეს უწყება ჩართული არასოდეს ყოფილა სამშენებლო პროცესში. მის კომპეტენციაში არ შედის არც სამშენებლო საქმიანობის მონიტორინგი, არც ბინით უზრუნველყოფის საკითხები, მაგრამ თუკი ეს დაევალება მათ სამმართველოსთან ერთად, ისინი საქმეშიც აქტიურად ჩაერთვებიან და პასუხისმგებლობასაც აიღებენ საკუთარ თავზე.

კითხვა: არის თუ არა მომართვიანობა დევნილთა მხრიდან მათი სამსახურში?

მოგვმართავენ ხოლმე, - პასუხობს ბატონი **ზაზა**, - მაგრამ ის, რაც ჩემს შესაძლებლობებს სცდება, ვუკეთებ გადამისამართებას სამმართველოში, რათა მიიღონ შესაბამისი პასუხი ყველა მნიშვნელოვან კითხვაზე. ბატონმა **ზაზამ** ისაუბრა სტრუქტურის ძირითად დატვირთვაზე, თუ რა საქმიანობას ეწევა აფხაზეთის წარმომადგენლობა იმერეთის რეგიონში. ესაა სასწრაფო

გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები, როგორცაა წყალგაყვანილობა, სადარბაზოებში ავარიული სიტუაცია, სახურავები და კანალიზაციის სისტემა. გასულ წელს მათ ასეთ საქმეში დახარჯეს 10 000 ლარამდე. 20-ზე მეტ დევნილთა ჩასახლებას დაეხმარნენ 800-დან 1000 ლარის ოდენობით. აგრეთვე, არსებობს სოციალური პროგრამები, რომლებზეც გასულ წელს დაიხარჯა 117000 ლარი, წელს კი დაემატა 3000 ლარი, ანუ გაიზარდა ერთჯერადი დახმარების ბიუჯეტი.

დევნილთა სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი სანთელაძე აღმოჩნდა ის ადამიანი, რომელსაც ყველა ზემოთ დასმულ კითხვაზე ჰქონდა სწორი და კომპეტენტური პასუხი.

ბატონმა გიორგიმ აგვიხსნა, რომ წყალტუბოში დაწყებული ორი ათსართულიანი სახლის მშენებლობა უნდა დასრულდეს წლის ბოლოს, იმ სახლებისა, რომლებიც გადაიბარა სხვა სამშენებლო კომპანიამ. თითო არის 70-ბინიანი. სულ წლის ბოლოს ბინით დაკმაყოფილდება 140 ოჯახი.

თუ ვინ იქნება და რომელი სანატორიუმებიდან იქნებიან გამოყვანილნი დევნილები, ბატონმა გიამ აგვიხსნა: შეთავაზება იქნება ნგრევად სანატორიუმებში მცხოვრებ დევნილებს. ასეთი არა ერთია წყალტუბოში, მაგრამ აქაც არის პრობლემა. თუ ნგრევად სანატორიუმში მცხოვრები ყველა დევნილი არ იქნება თანახმა, მაშინ სხვა სანატორიუმებიდან მოხდება ადამიანების გამოყვანა. არიან დევნილები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ არ უნდათ წყალტუბოში ბინით დაკმაყოფილება და უნდათ ქუთაისში. ამ შემთხვევაში მოხდება ქუთაისში მათი გადაყვანა ქულათა სისტემით. კარგი იქნება, თუკი დაემთხვევა წყალტუბოს 140 ბინის (ორი სახლი წყალტუბოში) და 725 ბინის ქუთაისში ერთდროულად გაცემა, მაშინ შესაძლებელი იქნება რამდენიმე სანატორიუმის გათავისუფლება.

გარდა ორი სახლისა, წყალტუბოში კიდევ უნდა აშენდეს 6 სახლი - 3 მილიონ ნახევრის ღირებულების. 2020 წლის ბოლოს სულ 560 ოჯახი იქნება დაკმაყოფილებული - გვითხრა ბატონმა გიამ.

კითხვას, თუ როგორია ურთიერთთანამშრომლობა თვითმმართველობასა და დევნილთა სამმართველოს შორის, ბატონმა გიამ უპასუხა, რომ მას დამაკმაყოფილებლად აფასებს. მისი თქმით, უკეთესი იქნებოდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა.

მოსაზრებას, რომ ქულათა სისტემის აპლიკაციები შეივსოს, რადგან გაჟღერდა, რომ ამისი გაკეთება შესაძლებელი იქნება დევნილებისთვის იუსტიციის სახლებში, ბატონი გიორგი ვერ დაეთანხმა, რადგან გასულ წელს მხოლოდ ორი პრეცედენტი ყოფილა ასეთი და ისიც, არასრულყოფილად მოხდა. გარდა ამისა, დევნილებს შეუძლიათ საცხოვრებელი ცნობის

აღება იუსტიციის სახლებში. მათ ეს ცნობა სრულყოფილად ვერ მისცეს, რადგან ცნობაში ჩაიწერა მათი მუდმივი საცხოვრებელი და არა დროებითი, ანუ დევნილის რეგისტრაციის ადგილზე ეთქვათ უარი, რადგან თუ დევნილს საკუთრება არ აქვს, ანუ საცხოვრებლით უზრუნველყოფილი არ არის, მისი მონაცემი იუსტიციის სახლის მონაცემთა ბაზაში არ მოიპოვება.

აქედან გამომდინარე, დევნილთა ქულების მისანიჭებლად, ისევ სამმართველოებს მოუწევთ აპლიკაციის შევსება.

გარდა სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებისა, კითხვები დავუსვი რამდენიმე დევნილს:

კითხვა: ვის მიმართავენ პრობლემების შემთხვევაში: ადგილობრივ თვითმმართველობას, დევნილთა სამმართველოს თუ აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურებს?

ლიანა აბულაძე: - მივმართავთ აფხაზეთის სტრუქტურებს, ძირითადად, ერთჯერადი დახმარების გამო. განსახლებასთან დაკავშირებულ დანარჩენ ყველა საკითხზე კი - მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

თინა ზაქარაია: - რა თქმა უნდა, დევნილთა სამმართველოს მივმართავთ, რადგან ჩვენი ძირითადი პრობლემა უკვე ოცდამეექვსე წელიწადია განსახლების საკითხია. ამაში კი, ვერაფერს გვიშველის ვერც ადგილობრივი ხელისუფლება და ვერც აფხაზეთის ხელისუფლება. ისე კი კარგი იქნება აფხაზეთის ხელისუფლებაზეც იქნეს განაწილებული ის პასუხისმგებლობა, რასაც განსახლება ჰქვია.

აბაშმაძე ზაირა: - დევნილთა სამმართველოს მივმართავთ, რადგან სხვა არც ერთი სტრუქტურა არ აგებს ჩვენზე პასუხს. ყველას ხელები აქვს დაბანძული, თითქოს ჩვენ არ ვიყოთ საქართველოს მოქალაქეები.

დევნილთა კითხვებიდან და მათი პასუხებიდან კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მეტად მგრძობიარე უნდა იყოს დევნილთა პრობლემების მოგვარების, ძირითადად კი მათი ღირსეული განსახლების პროცესისადმი.

ნათია ომაძე, ჟურნალისტი, შიდა ქართლის მედია ცენტრის ხელმძღვანელი

რატომ გვჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ეროვნული და ადგილობრივი სამოქმედო გეგმები?

გაერო-ს რეზოლუცია 1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მიღებული იქნა 2000 წლის 31 დეკემბერს. მის განსახორციელებლად საქართველოში უკვე რამდენიმე წელია მუშავდება ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის რეალიზება შეეხება ომის დროს დაზარალებულ გოგონათა და ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერებას, ხელშეწყობას, ძალადობისგან დაცვას, პრევენციას და ასევე, მათ მონაწილეობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში.

საქართველოში, რომელსაც ორი მოუგვარებელი კონფლიქტი აქვს - ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური - ამ დრომდე არა აქვს ამ რეზოლუციის ლოკალური, ანუ მუნიციპალიტეტის დონეზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა. არადა, ცხადია, ეროვნული გეგმა ვერ უპასუხებს სხვადასხვა რეგიონში და სოფელში არსებულ გამოწვევებს მათი სპეციფიკიდან გამომდინარე.

გორის მუნიციპალიტეტისთვის, რომელმაც ბოლო 20 წლის მანძილზე რამდენიმე კონფლიქტი და 2008 წლის აგვისტოს ომი გადაიტანა, სადაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რამდენიმე ათასი იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს და სადაც, ამაჟამადაც „მცოცავი“ ოკუპაციის პირობებში, მავთულხლართების მიმდებარე ტერიტორიაზე, მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობს, ასეთი დოკუმენტის არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერმა მძიმე ასახვა ჰპოვა და უამრავი გამოწვევის წინაშე დააყენა აქაური მოსახლეობა.

დღეს გორის მუნიციპალიტეტის სოფლების დიდი ნაწილი ოკუპირებული ტერიტორიების გვერდით აღმოჩნდა და აქაურების ძირითად პრობლემას ფიზიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ საოკუპაციო ძალები ქართულ სოფლებში ე. წ. ადმინისტრაციულ საზღვარს ავლებენ, ისინი ადგილობრივ მოსახლეობასაც გამუდმებით აკავებენ ე. წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით და ფულადი ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ.

ბოლო დროის ერთ-ერთი გახმაურებული ფაქტი გასული წლის 29 სექტემბერს მოხდა სოფელ ხურვალეთში. სამი არასრულწლოვანი შვილის დედა, 37 წლის მაია ოთინაშვილი საკუთარი

ბალიდან შეიარაღებულმა ნიღბიანებმა გაიტაცეს. მაიას მეუღლემ და მეზობლებმა საკუთარი თვალთ დაინახეს, როგორ წაიყვანეს ბაღში წინასწარ ჩასაფრებულმა პირებმა ახალგაზრდა ქალი ძალის გამოყენებით. მათ თვალახვეული მაია ჯერ რუსულ სამხედრო ბაზაზე მიიყვანეს, შემდეგ ცხინვალის იზოლატორში, ბოლოს კი ციხეში გადაიყვანეს. ოთინაშვილს ე. წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დასდეს ბრალი, ჯერ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, შემდეგ ათდღიანით, ბოლოს ერთთვიანით შეუცვალეს. პატიმრობიდან მეთერთმეტე დღეს კი ლენინგორის რაიონულმა სასამართლომ მაიას ერთწლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით და დარბაზიდან გაათავისუფლა.

ასეთი დაკავებების რიცხვი 2008 წლის შემდეგ უფრო და უფრო იზრდება. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვრის თვეში, აღნიშნული ბრალდებით, უკვე 21 ადამიანია დაკავებული. აკავებენ ყველას - ქალსაც და კაცსაც, სასულიერო პირსაც და არასრულწლოვანსაც, ახალგაზრდასაც და მოხუცსაც, რის გამოც, ქართულ სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილების უფლებაც ეზღუდება და დაუცველობის განცდაც იზრდება.

ცხინვალიდან რამდენიმე ათეულ მეტრში, სოფელ ერგნეთში მცხოვრები ლია ჩლაჩიძე უსაფრთხოების გარდა, სხვა პრობლემებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც აქაურ ქალებს აწუხებთ.

”ერგნეთი ახალგაზრდებისგან იცლება, სასწავლებლად ქალაქში წასული ახალგაზრდებიდან უკან თითქმის აღარავინ ბრუნდება და იქ იწყებენ მუშაობას, ხშირად სხვა პროფესიით. აქ რომ დაბრუნდნენ, რას გააკეთებენ? სოფელს ვერ ადგება და იკარგება იმ ახალგაზრდების რესურსი, რომლებზეც სახელმწიფომ ხარჯი გაწია და მათთვის, როგორც გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთათვის უმაღლესი განათლების მიღება დააფინანსა. ამ ახალგაზრდების აქ დარჩენაზე და დასაქმებაზე არავინ ზრუნავს... სოფელში ახალგაზრდებისთვის არც გასართობია რამე. არ გვაქვს ადგილი, სადაც ჩამოსხდებიან, ისაუბრებენ ან იცეკვებენ. ყავაზე რომ დაპატიჟოს ბიჭმა გოგო, გორში უნდა ჩავიდნენ. სკოლაში სულ 56 მოსწავლე სწავლობს, და ძირითადად მოსწავლეთა დიდი რაოდენობა არის მე-12 კლასის ხარჯზე, რადგან აბიტურიენტები ასეთი სოფლებიდან ღებულობენ სახელმწიფო გრანტს უმაღლესი განათლების მისაღებად. ცოტა ხნის წინ ახალგაზრდებმა სოფლის მხარდაჭერის და სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში სკვერის გაკეთება მოითხოვეს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობამ რიტუალების სახლის დასრულება ამჯობინა, რომლის აშენება წინა საუკუნეში დაიწყო და მასზე 30 000-ზე მეტია დახარჯული. ასე დარჩნენ წელსაც ჩვენი ახალგაზრდები დასასვენებელი ადგილის გარეშე... საზოგადოებრივი ტრანსპორტი კერძოა და გრაფიკის გარეშე დადის. ვიდრე „მარშუტკა“ არ შეივსება ქალაქისკენ არ მიდის და პირიქით, რაც ხელს უშლის აქაურებს ქალაქში მუშაობის დაწყებაში. აქაური მოხუცებიც ძალზე ცუდ ყოფაში არიან. თითქმის ყველაფერზე გორში

უწევთ ჩასვლა, წამლიდან და ექიმიდან დაწყებული პროდუქტის შემენით დამთავრებული, რაც ძალიან უჭირთ. სოფელში არსებულ სამედიცინო ცენტრში ექიმი კვირაში მხოლოდ ერთხელ ჩამოდის და მის ლოდინს აქაურები ისევ ქალაქში წასვლას ამჯობინებენ. არაა მაღაზია, არც პურის საცხობი და არც საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი” - ამბობს ლია ჩლაჩიძე.

ცხინვალიდან დევნილი ია ზუბაშვილი, რომელიც გორში წმინდაწყლის დასახლებაში ცხოვრობს, ბევრ მსგავს და განსხვავებულ პრობლემას ასახელებს, რომელიც დევნილ ქალებს აწუხებთ. ის დასაქმების და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების არქონის საკითხს უსვამს ხაზს და ამასთან ერთად, სხვა საჭიროებებზეც საუბრობს.

„არცერთ დევნილთა ჩასახლებაში არ მუშაობს ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა, რაც დღეისათვის, დევნილთა პოსტ-ტრავმულ მდგომარეობას ამძიმებს. ძირითადად, ერთჯერადი და მოკლევადიანი პროექტები განხორციელდა, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. არ ტარდება დევნილთა საჭიროებებზე მორგებული კვლევა და ამის გამო, მოუგვარებელია ინფრასტრუქტურა, შიდა გზები, განათება, კანალიზაცია და ა. შ. დევნილებს სხვადასხვა სერვისებზე ხელმიუწვდომლობის პრობლემაც გვაქვს. ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის დევნილთა ჩასახლებებში არ არსებობს ცენტრები, სადაც მათ შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში. წინა წლებში ყველა ჩასახლებაში არსებობდა ასეთი შენობები. ეს ფართები ამჟამად დაკეტილი ან გაქირავებულია სხვა კერძო ორგანიზაციებზე და ჩვენი ბავშვები უფასო მომსახურებას ვეღარ იღებენ. მძიმე მდგომარეობაში არიან ხანდაზმული დევნილები. მათი ძირითადი პრობლემებია: სოციალური იზოლაცია, საკუთარი უნარ-ჩვევების განუხორციელებლობა და უფუნქციობა. იმყოფებიან ინფორმაციულ ვაკუუმში. აქვთ დაბალი საპენსიო შემოსავალი, რომელიც არ ჰყოფნით მნიშვნელოვანი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, იქნება ეს გადასახადები, საკვები, წამლები თუ ექიმთან მისვლის ხარჯები” - ამბობს ია ზუბაშვილი.

ეს და სხვა საკითხები, რომლებიც ომგამოვლილ ქალებს აწუხებთ, ასახული იქნა გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში, რაც პირველია თანამედროვე გორის ისტორიაში. გეგმის შედგენაზე გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ იმუშავა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და კონსულტაციებით. სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გაერო-ს 1325-ე რეზოლუციის იმ საკითხებსაც, რომლებიც გულისხმობენ გადაწყვეტილებებში ქალთა მონაწილეობას, კონფლიქტის პრევენციას და მასში ქალთა საჭიროებების გათვალისწინებას, ომის შედეგად დაზარალებული ქალების და ბავშვების დაცვას, დახმარებას და

რეაბილიტაციას.

აღნიშნული საკითხების წინ წამოწევას ხელი შეუწყო იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“-მ. ასოციაციამ შექმნა სამუშაო ჯგუფები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა, დევნილთა და გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ლიდერ ქალთა მონაწილეობით. სწორედ სამუშაო ჯგუფის წევრთა პერიოდული შეხვედრებითა და დისკუსიებით გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემები. უახლოეს ხანში, სამუშაო ჯგუფის წევრები გორის საკრებულოს და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ მერეთის თემიდან დაიწყებენ გორის მუნიციპალიტეტის სოფლების შემოვლას, ქალთა პრობლემების და საჭიროებების ადგილზე შესწავლის მიზნით. ამასთან ერთად, ჯგუფის წევრები 2008 წლის აგვისტოს ომით მიყენებული პრობლემების კვლევასაც მოახდენენ და მიტოვებულ სახლებსაც აღრიცხავენ, საჭიროების შემთხვევაში მიუსაფარი ოჯახებისთვის შეძენის მიზნით.

საქართველოში ქალთა რესურსის გამოყენების პრაქტიკა კონფლიქტების მოგვარების პროცესში თითქმის არ არსებობს, მითუმეტეს ომით დაზარალებული ქალების ჩართვისა. იმისათვის, რომ ქალები ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ჯერ მათი ინფორმირებულობა და მომზადებაა საჭირო. გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში ქალთა ინფორმირებულობის გაზრდას და გააქტიურებასაც ეთმობა ყურადღება. დოკუმენტში, ასევე, შესულია ისეთი საკითხები, როგორცაა ომგამოვლილი მოსახლეობის კვლევა ჯანმრთელობის კუთხით, საინფორმაციო შეხვედრები ქვეყანაში არსებული უფასო სერვისების შესახებ, იურიდიული კონსულტაციები საკუთარ უფლებებზე, ძალადობის და შევიწროვების საკითხებზე და ადვოკატირებაზე. დაგეგმილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება (ცოდნის მიცემა პროექტების წერაზე, პროექტების განხორციელებაზე და დონორთა მოძიებაზე) და ადრეული გაფრთხილების სისტემის ამოქმედება.

ელიკო ბენდელიანი, სამოქალაქო აქტივისტი, ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი

გამყოფი ხაზის პირისპირ

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტიდან მრავალი წელი გავიდა, თუმცა მიუხედავად ამისა, გამყოფი ხაზის გასწვრივ და მის მიღმა მცხოვრებ მოსახლეობას დღემდე მძიმე მდგომარეობაში უწევს ცხოვრება. მოუგვარებელი

კონფლიქტი ყველაზე ძვირად სწორედ ამ მოსახლეობას უჯდება. მათ ომის პირველი დღეებიდან არაერთი სირთულე აქვთ გამოვლილი და დღესაც ბევრ პრობლემასთან უწევთ გამკლავება: დაუცველობა, განვითარების პერსპექტივის სიმწირე, საარსებო წყაროებთან წვდომის არქონა და მრავალი სხვა.

განსკუთრებით, მძიმე მდგომარეობაში არიან გალისა და ახალგორის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, რომლებიც კონფლიქტის სწრაფი მოგვარების იმედმა და სოციალურ-ეკონომიურმა სიდუხჭირემ, ომის ცხელი ფაზის შემდგომ, მალევე, დააბრუნა საკუთარ სახლებში. ეს დაბრუნება ძირითადად სტიქიურ ხასიათს ატარებდა, რასაც შედეგად მოჰყვა უმძიმესი პრობლემები ადამიანთა უსაფრთხოების კუთხით და მრავალი ადამიანის უფლებების დარღვევებით ამ რეგიონში.

გამყოფი ხაზის მიღმა მცხოვრები ადამიანების ბედი, მრავალი წელია, არის როგორც შიდა პოლიტიკური განხილვისა და დისკუსიის საგანი, ასევე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგისა და ექსპერტთა შეხვედრების თემა.

ეს საკითხი ერთ-ერთი საკვანძო თემაა, როგორც ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების, ასევე ინციდენტებისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (IPRM) შეხვედრებზე. თუმცა, მიუხედავად მრავალი ძალისხმევისა, მხარეები ჰუმანიტარულ საკითხებზეც კი ვერ ახერხებენ შეთანხმების მიღწევას. ამასთანავე, გალისა და ახალგორის რაიონების საკითხი შიდა პოლიტიკური პროცესების მძევლად იქცა როგორც ჩვენთან, ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ არსებობს გარკვეული უნდობლობა, რის გამოც, ისინი ვერც ერთი საზოგადოების ნაწილად ვერ გრძნობენ თავს. ხშირად წამოიჭრება კითხვები ამ ხალხის სტატუსისა და იდენტობის თაობაზე.

რჩება განცდა, რომ გალისა და ახალგორის რაიონში მცხოვრებლების რეალურ საჭიროებებსა და პრობლემებზე მხარეებს მწირი ინფორმაცია აქვთ. არც ერთ მხარეს არ გააჩნია თანმიმდევრული სტრატეგია მათთან მიმართებაში და მოსახლეობაშიც გაურკვეველობა და უიმედობა დღითიდღე იზრდება. წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოაჩინოს და გაანალიზოს გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები ადამიანების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები.

არსებული მდგომარეობა

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ

ჩატარებული ბოლო აღწერის მიხედვით, აფხაზეთში 2011 წლის მონაცემებით, 43,166 ქართველი ცხოვრობს,²⁰ ხოლო სამხრეთ ოსეთში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რაოდენობა 3966 ადამიანია,²¹ თუმცა სხვადასხვა მონაცემებით, ამ რეგიონებში მცხოვრები ქართველების რაოდენობა გაცილებით მეტია, აფხაზეთში მათი რაოდენობა 55 – 60 ათას ადამიანს შეადგენს. ხოლო სამხრეთ ოსეთში კი - ხუთი ათას ადამიანამდეა. ამასთანავე, მრავლადა არიან ადამიანები, რომლებიც სეზონურად მიგრირებენ ერთი მხრიდან მეორეში.

გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია კონტექსტი, რომელშიც ამ მოსახლეობას უწევს ცხოვრება. მათთვის უსაფრთხოება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, თუმცა, ამის გარდა, არსებობს რიგი საკითხებისა, რაც მათ მდგომარეობას ართულებს. ამ მოსახლეობისთვის დღემდე არ არის ნათელი რა ბედი ელოდება მათ, გახდებიან თუ არა იძულებულნი, დატოვონ საკუთარი სახლები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ მხარის ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენენ და უმეტესობას კონფლიქტის ცხელი ფაზის დროსაც არ დაუტოვებია რეგიონი.

„90-იან წლებში, როცა სიცოცხლის რისკის ფასად ვცხოვრობდით ჩვენს სახლებში, გვქონდა იმედი, რომ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, დღეს კი იმ რეალობის წინაშე აღმოვჩნდით, როცა უკვე იმედიც აღარ გვაქვს. წლიდან წლამდე მდგომარეობა უფრო რთულდება. სადამდე უნდა ვიცხოვროთ ესეთ გაურკვეველობაში, არ ვიცი. აქ მაცხოვრებლებს წასასვლელიც არსად გვაქვს“ (გალის რაიონის მაცხოვრებელი)

ადამიანის უსაფრთხოების/ უფლებების დარღვევის ძირითადი ტიპები ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინაშე დგას, მათი იურიდიული სტატუსი და დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემებია. ამ პრობლემების გამო, არავინ იცის, რა ბედი ეწევა ამ მოსახლეობას მომავალში. განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველები. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს მოსახლეობა მუდმივად ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე, დე-ფაქტო ხელისუფლება მათზე აფხაზურ პასპორტებს არ გასცემს. მათ, ამ დროისათვის, მხოლოდ ბინადრობის მოწმობის აღება შეუძლიათ, რაც მათ უზღუდავს არჩევნებში მონაწილეობის, საკუთრების რეგისტრაციისა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებს. ყოველივე ეს კი, მათ ბედს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის.

„ყველაფერს აკეთებენ, რათა სხვა გზა არ დაგვიტოვონ და გვაიძულონ ბინადრობის მოწმობის აღება. ამ ეტაპზე, სანამ ყველა არ აიღებს ამ დოკუმენტს, პრობლემებს არ გვიქმნიან, თუმცა შემდეგ, უფლება ექნებათ მცირედი კანონდარღვევის საბაზით, საერთოდ გაგვასახლონ აფხაზეთიდან. ექვი მაქვს, ეს იქნება კორუფციის და ფულის გამოძალვის კარგი საშუალება,

20. <https://abkhazworld.com/aw/current-affairs/534-the-population-of-abkhazia-stands-at-240705>

21. <http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf>

რაც ჩვენს ისედაც რთულ მდგომარეობას, კიდევ უფრო დაამძიმებს“. (გალის რაიონის მაცხოვრებელი)

გარდა იურიდიული სტატუსისა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის წინაშე სხვა მრავალი პრობლემა დგას. რუსი მესაზღვრეების გამყოფ ხაზზე ჩადგომამ და მათ მიერ თხრილების და მავთულხლართების გავლებამ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება ადამიანთა უსაფრთხოების კუთხით. გამყოფი ხაზის გასწვრივ შემცირდა გამშვები პუნქტების რაოდენობა, რამაც კიდევ უფრო გაართულა თავისუფალი გადაადგილება ე. წ. ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარისათვის. ხშირია მოსახლეობის დაუსაბუთებელი და თვითნებური დაკავებები ე. წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. ეს დაკავებები წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას, რასთანაც წლების განმავლობაში შეხება აქვს გამყოფი ხაზის ორივე მხარის მოსახლეობას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების წინაშე მწვავედ დგას მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის, სოციალურ-ეკონომიური და სხვა მრავალი პრობლემა, რამაც უკეთესი მომავლის პერსპექტივის იმედი დაუკარგა იქ მცხოვრებ მოსახლეობას. ეს მოსახლეობა, ერთი მხრივ, მოწყვეტილია საქართველოს და ქართულ სივრცეს, მეორე მხრივ კი ვერ მოხდა მისი აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც ქმნის გაურკვევლობის ვაკუუმს მის ირგვლივ.

„აჯობებს ყველამ თავი დაგვანებოს. ხო, დავუტეი, ერთი და იგივე, ერთი და იგივე, ჩვენც დავიდალეთ“. (ახალგორის მაცხოვრებელი)

აღსანიშნავია ისიც რომ, ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების შესაძლებლობა, მოაგვაროს ამ მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები გარკვეულწილად შეზღუდულია, თუმცა არსებობს გარკვეული მექანიზმები, რომლის გამოყენება უფრო ეფექტურად არის შესაძლებელია. ამასთანავე, აფხაზეთში არიან გარკვეული ძალები, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელოვნება და ხედავენ ამ მიმართულებით მუშაობის საჭიროებას.

დასკვნით სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველი მოსახლეობა გარკვეულწილად „მარგინალიზებულია“ და მხარეებისთვის მხოლოდ პრობლემებთან ასოცირდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ არცერთი მხარის მიერ არ არის სათანადოდ დანახული მათი პოტენციალი. არადა ეს არის მოსახლეობა, რომელმაც მიუხედავად არსებული რთული ვითარებისა, ადგილებზე მუდმივი ინციდენტებისა, უფლებების დარღვევებისა და დაუცველობისა, მოახერხა გადარჩენა. ისინი, გარედან სერიოზული ჩარევისა და დახმარების გარეშე, ცდილობენ სტაბილური საცხოვრებელი პირობების შექმნას.

შექმნილი ვითარება არცერთი მხარისთვის არ არის მომგებიანი. საერთო ჯამში, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს უნდათ სტაბილურ და მშვიდ გარემოში ცხოვრება, სადაც დაცული იქნება მათი უფლებები და თავისუფლად შეძლებენ ცხოვრებას, რასაც ხელს უშლის თემის პოლიტიზაცია და მხარეების შიში ამ მოსახლეობასთან მიმართებაში.

პროგრესის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, მხარეებმა გააცნობიერონ საკითხის მნიშვნელობა,

გვერდზე გადადონ შიში და კონცენტრირება მოახდინონ ადამიანურ განზომილებაზე. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო მექანიზმების ამუშავება და საერთაშორისო ჩართულობის გაზრდა.

ამ მოსახლეობის პოტენციალის სწორად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია, ისინი გახდნენ პოზიტიური იმპულსი, როგორც სამშვიდობო პროცესისათვის, ასევე მდგრადი განვითარებისთვის.

დასკვნა

წარმოდგენილი სტატიების, ანგარიშებისა და წერილების კრებული წარმოაჩენს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში არსებულ რთულ ვითარებას და რა ბარიერებისა და სირთულეების გადალახვა უწევთ იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას. ქალთა და ახალგაზრდების ძალისხმევის მხარდასაჭერად, მათი ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი უფლებების რეალიზაციისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ქალი - სამოქალაქო აქტივისტები სხვადასხვა ჩარჩოებს იყენებენ, როგორცაა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 1325 „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“-ს ეროვნული სამოქმედო გეგმა; ადგილობრივი გეგმები, ცოტა ხნის წინ შექმნილი ინსტიტუციური მექანიზმი - გენდერული თანასწორობის საბჭოები მუნიციპალიტეტებში; სახელმწიფო ვალდებულებების მონიტორინგის განხორციელება და ამ შედეგების წარდგენა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, მასმედიასთან თანამშრომლობა; არსებულ პრობლემებზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების ყურადღების მოპყრობა და ქალთა და სხვა საზოგადოების წევრების, მათი უფლებების, არსებული კანონებისა და მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივი მუშაობა. ქალები - სამოქალაქო აქტივისტები მუშაობენ გამყოფი ხაზის გასწვრივ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში მშვიდობისათვის პოტენციალის შექმნასა და ყველაზე მოწყვლადი ხალხისთვის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ადვოკატირებას ეწევიან. გაყინული სამშვიდობო პროცესის, ბევრი დაბრკოლებისა და ბარიერის მიუხედავად, ისინი განაგრძობენ მოხალისეობრივ მუშაობას თავიანთ თემებისთვის, მშვიდობასა და უკეთესი ცხოვრებისთვის.



